პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 22 ივნისი, 1947 წ. № 124 (7908). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ექვსი წელი დიდი სამამულო ომის დაწყებიდან — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა რსფსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 20 ივნისის სხდომის შესახებ (1-ლი გვერდი).

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში (1-ლი გვერდი).

საქდესის ცნობა (მე-2 გვერდი).

ე. ტარლე — საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი კაცობრიობის ცივილიზაციის ხსნაში (მე-2 გვერდი).

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" XXV წლისთავი — „პრავდა" (მე-3 გვერდი).

გამარჯვების დროშა ბრანდენბურგის კარზე (მე-3 გვერდი).

ომგადახდილნი დაზგებთან (მე-3 გვერდი).

ქ. გოფმანი — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ექვსი წელი დიდი სამამულო ომის დაწყებიდან

საბჭოთა ადამიანებს არასოდეს დაავიწყდებათ 1941 წლის 22 ივნისი, როცა ჩვენს საზღვარზე პირველად გაისმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ქვემეხების ზალპები, როდესაც პირველად დაიღვარა საბჭოთა ადამიანის წმიდათა წმიდა სისხლი. ეს იყო პირველი დღე იმ უდიდესი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, რომელმაც ოთხ წელს გასტანა და რომელიც ჩვენი ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვებით დამთავრდა.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა კავშირის ხალხი ერთსულოვნად აღსდგა ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ხალხის მთელი ძალები — ფრონტის დასახმარებლად!" — გაისმა ამხანაგ სტალინის ხმა იმ დღეებში და ომის მთელი ოთხი წლის მანძილზე არც ერთ საბჭოთა ადამიანს არ დავიწყებია ბელადის ეს სიტყვები. „წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!" — მოგვიწოდა ამხანაგმა სტალინმა და მთელი საბჭოთა ხალხი გაჰყვა მას ბრძოლისა და გამარჯვების დიად გზაზე. საბჭოთა ადამიანები სამშობლოს და სტალინის სახელით სასწაულებს ახდენდნენ ბრძოლის ველზე. ზურგში, რომელიც ერთიან სამხედრო ბანაკად იყო გადაქცეული, საბჭოთა ადამიანები — კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ მოზარდი — გაჭირვებისა და სიძნელეთა მიუხედავად, დაუღალავად შრომობდნენ, რათა ფრონტს ჰქონოდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო მტერზე გამარჯვებისათვის. „ახლანდელი ომის უმაგალითო სიძნელეებმა, — ამბობდა ომის პერიოდში ამხანაგი სტალინი, — კი ვერ გასტეხეს, არამედ უფრო გამოაწრთეს საბჭოთა ხალხის რკინისებური ნებისყოფა და მამაცური სულისკვეთება. ჩვენმა ხალხმა სამართლიანად მოიხვეჭა გმირი ხალხის სახელი".

საბჭოთა ხალხის მთელ ბრძოლას და შრომას, ისევე როგორც ომამდელი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, სათავეში ედგა ბოლშევიკური პარტია, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი დიდი სტალინი. ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო ხალხის მთელი ძალების მობილიზაცია მტრის გასანადგურებლად.

სამამულო ომი ჩვენი საბჭოთა წყობილების, ჩვენი სახელმწიფოს დიდი გამოცდა იყო. ეს გამოცდა ბრწყინვალედ იქნა ჩაბარებული. ომმა ახალი ძალით დაადასტურა, რომ საბჭოთა წყობილება არის მსოფლიოში ყველაზე სიცოცხლისუნარიანი, ყველაზე უკეთესი წყობილება. ომმა სავსებით გაუმართლა იმედი მაშინ ფაშიზმის უღელქვეშ მოქცეულ ევროპის ხალხებს, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და მისი არმიისაგან მოელოდნენ განთავისუფლებას. როდესაც საბჭოთა არმიამ გაანადგურა ფაშისტური სამხედრო მანქანა და ბერლინში აამრიალა გამარჯვების დროშა, ამით მან ხსნა მოუტანა არა მარტო საბჭოთა ქვეყანას, არამედ ფაშისტურ უღელქვეშ მყოფ სხვა ხალხებსაც.

დღეს, სამამულო ომის დაწყების მეექვსე წლისთავზე, საბჭოთა ადამიანების მეხსიერებაში კვლავ აღდგება უმაგალითო ბრძოლები მოსკოვთან და ლენინგრადთან, სტალინგრადთან და კავკასიის მისადგომებზე, ხანძრები ბელორუსიასა და უკრაინაში, ათასობით განადგურებული ქალაქი და სოფელი, მილიონობით დაღუპული და ფაშისტთა კატორღაში გარეკილი უდანაშაულო საბჭოთა ადამიანი, ფრონტებზე დაღვრილი ჩვენი გმირი მებრძოლების სისხლი, უამრავი დაობლებული ბავშვი და უპატრონოდ დარჩენილი ოჯახი, მთელი ის ტანჯვა-წამება, ის უბედურება, რაც ჩვენს ქვეყანას დაატეხეს გერმანელმა ფაშისტმა ავაზაკებმა. და, გაიხსენებს რა ამას, ყოველი საბჭოთა ადამიანი, რომელიც ამჟამად მონაწილეობს მშვიდობიან მშენებლობაში, რომელსაც ახლა კვლავ შესაძლებლობა აქვს გაშალოს თავისი უნარი და ნიჭი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. სავსებით გასაგებია, თუ რატომაა ეს საჭირო. მართალია ფაშისტური სამხედრო მანქანა დამსხვრეულია, მაგრამ მსოფლიოში ჯერ კიდევ მოიპოვებიან რეაქციული ძალები, რომლებიც ახალი იმპერიალისტური ომის გაჩაღებაზე ოცნებობენ, საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად იბრძვის ომის ახალ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებისათვის. ჩვენს ხალხს არ სურს ომი. სწორედ ამიტომ იგი მთელი ენერგიით იბრძვის საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერებისათვის. ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი ახორციელებს თავისი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმას, წარმატებით სძლევს სიძნელეებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ამით იგი მტკიცე მშვიდობიანობისათვისაც იბრძვის.

ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისათვის. ეს დიდი დღესასწაულია ჩვენი ხალხისა, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო, ამდენი იბრძოლა და იშრომა ოქტომბრის მონაპოვართა განსამტკიცებლად. თავისი არსებობის XXX წლისთავს საბჭოთა სახელმწიფო ხვდება უფრო მტკიცე და ძლიერი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. საბჭოთა ხალხი ახალ საჩუქრებს უმზადებს სამშობლოს სადღესასწაულოდ. მილიონობით ადამიანმა — მუშამ, გლეხმა, ინტელიგენტმა — იკისრა ვალდებულებანი ამ დღისათვის. ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, მეცნიერთა ლაბორატორიებში მიმდინარეობს ყოველდღიური შეუპოვარი ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. პირველი წარმატებანი მოპოვებულია, მაგრამ ჩვენი ხალხი მიღწეულზე არ შეჩერდება. იგი კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობის ტემპს, რათა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს სამშობლოს, დიდი სტალინის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი.

სამშობლოს საკეთილდღეოდ გაჩაღებულ თავისუფალ, შემოქმედებითს შრომაში ჩვენ წინ მიგვიძღვის, გზას გვიჩირაღდნებს დიდი სტალინის გენია. დიდი სტალინი აღგვაფრთოვანებს ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის დროშით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წინ, სრული კომუნიზმისაკენ!

საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ 6 თვის გეგმა ვადამდე შეასრულა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 17 ივნისისათვის შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებული 30 მილიონი მანეთის (უცვლელ ფასებში) პროდუქციის ნაცვლად გამოშვებულია 30.139 ათასი მანეთის პროდუქცია.

ნახევარი წლის დავალება ვადამდე შეასრულა ყველა საწარმომ. ტყავეულობის ქარხნებმა დავალება 100,7 პროცენტით გაანაღდეს, ფეხსაცმლის ფაბრიკებმა—100,5 პროცენტით, პლასტრეზინისამ — 105,8 პროცენტით და სამკერვალო ფაბრიკებმა—100,2 პროცენტით.

თბილისის ტყავეულობის პირველმა ქარხანამ ნახევარი წლის დავალება 108,8 პროცენტით შეასრულა, მეორე ქარხანამ — 103,6 პროცენტით, ბათუმის ტყავეულობის ქარხანამ—102,1 პროცენტით. ფეხსაცმლის საწარმოთაგან ექვსი თვის დავალება შეასრულა: ფეხსაცმლის პირველმა ფაბრიკამ 109,2 პროცენტით, მესამე ფაბრიკამ—113,9 პროცენტით, ქუთაისის ფეხსაცმლის კომბინატმა — 120 პროცენტით. სამკერვალო საწარმოთაგან ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს: პირველმა სამკერვალო ფაბრიკამ — 107,6 პროცენტით, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკამ — 101,1 პროცენტით, მეექვსე სამკერვალო ფაბრიკამ — 111,2 პროცენტით და ცენტრალურმა სამკერვალო ლაბორატორიამ — 130,4 პროცენტით.

ი. მ. სვერდლოვის სახლი-მუზეუმი ქალაქ გორკში

გორკი, 21 ივნისი. (საქდესი). მშრომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ქალაქ გორკში სვერდლოვის ქუჩაზე მდებარე № 6 სახლი, სადაც ხელოსან გრავიორის ოჯახში დაიბადა და ცხოვრობდა იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი.

აქ აწყობენ ი. მ. სვერდლოვის სახლ-მუზეუმს. ფოტოდოკუმენტები და სხვა მასალები ასახავენ იაკობ მიხეილისძის რევოლუციური მოღვაწეობის ნიჟნი-ნოვგოროდის პერიოდს. რესტავრირებულ იქნება საგრავიორო სახელოსნო. ცარიზმის წლებში ამ სახელოსნოში ახალგაზრდა სვერდლოვი კონსპირაციულ შეხვედრებს აწყობდა რევოლუციურ მუშაობაში ჩაბმულ თავის ამხანაგებთან.

საინფორმაციო ცნობა

რსფსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 20 ივნისის სხდომის შესახებ

20 ივნისს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რსფსრ მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

დეპუტატ პ. გ. ბურილიჩევის წინადადებით სესია გახსნა რსფსრ უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა პროფესორმა აკიმ ფილიპეს-ძე **გოლოვინმა.**

დეპუტატ გოლოვინის სიტყვის შემდეგ რსფსრ უმაღლესი საბჭო შეუდგა რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევას.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია დეპუტატი მიხეილ პეტრეს-ძე **ტარასოვი;** თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან დეპუტატები: ხაზიბ ვალიულის-ძე **ვალიულინი,** თევდორე პროკოფის-ძე **გონჩაროვი,** შაქარა გარიფის ასული **იშკინინა,** ბორის გლების-ძე **მუზრუკოვი,** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **ნესმეიანოვი,** მარიამ ვასილის ასული **სარიჩევა,** ლეონიდე ივანეს-ძე **სოკოლოვი,** ნიკოლოზ პავლეს-ძე **ტარასოვი.**

რსფსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო უმაღლესი საბჭოს სხდომათა შემდეგი რეგლამენტი:

1. რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომები სწარმოებს დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.
2. რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგის საკითხებზე მომხსენებლებს ამტკიცებს რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.
3. რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა თვითეულ ჯგუფს, რომელშიც სულ მცირე 50 კაცია, შეუძლია წამოაყენოს თავისი თანამომხსენებელი.
4. მომხსენებლებს მოხსენებისათვის ეძლევათ 1 საათი და საბოლოო სიტყვისათვის — 30 წუთი, თანამომხსენებლებს თანამოხსენებისათვის — 30 წუთი, საბოლოო სიტყვისათვის—15 წუთი.
5. ორატორებს სიტყვა ეძლევათ პირველად 20 წუთი და მეორეთ 5 წუთი.
6. პირადი განცხადებანი და ფაქტიური ცნობები შეტანილი უნდა იქნას წერილობით და მათ რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აქვეყნებს დაუყოვნებლივ ან სხდომის დასასრულს მათი შინაარსის მიხედვით.
7. რიგგარეშე შეკითხვები შეტანილ უნდა იქნას წერილობით და მათ რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აქვეყნებს დაუყოვნებლივ.
8. წესრიგისათვის სიტყვის წარმოსათქმელად მიეცემათ 5 წუთი.
9. კენჭისყრის მოტივების გამო მიეცემათ 3 წუთი.

უხუცესთა საბჭოს დავალებით დეპუტატმა **პ. ვ. აბრამოვმა** შეიტანა წინადადება რსფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დღის წესრიგის შესახებ. რსფსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები;
2. რსფსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევა;
3. რსფსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და რსფსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება;
4. რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა;
5. ახალ სამინისტროთა შექმნის შესახებ რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება;
6. რსფსრ მთავრობის—რსფსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა;
7. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევა;
8. რსფსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შემტანი სარედაქციო კომისიის შექმნის შესახებ.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შესამოწმებლად არჩეულია სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ვასილ ტიმოთეს-ძე **პროხვატილოვი** — დეპუტატი სტალინგრადის ოლქის ნიჟნეჩირსკის საარჩევნო ოლქიდან.

სამანდატო კომისიის წევრები:

2. **ბადაევი** გიორგი თევდორეს-ძე — დეპუტატი ლენინგრადის ოლქის ვიბორგის საარჩევნო ოლქიდან.
3. **ვაგაპოვი** საბირ ახმედიანის-ძე — დეპუტატი ბაშკირეთის ასსრ უფის კიროვის საარჩევნო ოლქიდან.
4. **ვასილიევა** კლავდია ალექსანდრეს ასული — დეპუტატი უდმურტეთის ასსრ ვოტკინის საარჩევნო ოლქიდან.
5. **ვორონცოვი** პავლე სტეფანეს-ძე — დეპუტატი კალინინის ოლქის ოსტაშკოვის საარჩევნო ოლქიდან.
6. **გოლიკოვი** ფილიპე ივანეს-ძე — დეპუტატი ვორონეჟის ოლქის ბორისოგლებსკის საარჩევნო ოლქიდან.
7. **გრეკოვი** ბორის დიმიტრის-ძე — დეპუტატი ქ. სარატოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქიდან.
8. **ლატუნოვი** ივანე სერგის-ძე — დეპუტატი არხანგელსკის ოლქის არხანგელსკის საქალაქო საარჩევნო ოლქიდან.
9. **ლოსკუტოვი** ივანე კუზმას-ძე — დეპუტატი ქ. გორკის ავტო-ქარხნის საარჩევნო ოლქიდან.
10. **მიტუსოვა** თეკლე ვასილის ასული — დეპუტატი ალტაის მხარის ზმეინოგორსკის საარჩევნო ოლქიდან.
11. **ხმელევსკი** კუზმა მიხეილის-ძე — დეპუტატი მოლოტოვის ოლქის სოლიკამსკის საარჩევნო ოლქიდან.

სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ რსფსრ უმაღლესი საბჭოს შემდეგი სხდომა შესდგება 21 ივნისს საღამოს 6 საათზე.

ამით დაიხურა რსფსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

გაიხსნა რსფსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

20 ივნისს, საღამოს 7 საათზე, მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რსფსრ მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესიაზე ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის ხალხების მიერ 9 თებერვლის ღირსშესანიშნავ დღეს არჩეული დეპუტატები. რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, მისი პატრიოტიზმის, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია იყო.

ხალხის რჩეულთა შორის არიან თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, სოციალისტური შრომის გმირები და საბჭოთა კავშირის გმირები, მრეწველობისა და სოციალისტური მიწათმოქმედების სტახანოველები, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, საბჭოთა ქვეყნის სახელოვანი შეიარაღებული ძალების წარმომადგენელნი.

სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დეპუტატები და მრავალრიცხოვანი სტუმრები იკრიბებიან კრემლის დიდი სასახლის შენობაში.

...საღამოს 7 საათია. მთავრობის ლოჟებში გამოჩნდნენ ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, ა. ა. ჟდანოვი, ა. ი. მიქოიანი, გ. მ. მალენკოვი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ა. კუზნეცოვი, მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

დეპუტატები და სტუმრები ერთსულოვანი ოვაციებით ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლების პატივსაცემად. რამდენიმე წუთს გრძელდება მხურვალე ოვაცია. შეკრებილნი გამოსთქვამენ სიყვარულსა და ერთგულებას ამხანაგ სტალინისადმი, დიდი ბელადისა და მხედართმთავრისადმი, საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორისადმი.

დეპუტატ პ. გ. ბურილიჩევის წინადადებით სესიის გახსნა დაევალა ერთ-ერთ უხუცეს დეპუტატს, რსფსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, ურალის ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს ა. თ. გოლოვინს.

— ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო,—ამბობს ამხ. გოლოვინი.—მე, რუს მეცნიერს, წილად მხვდა დიდი პატივი, როგორც ერთერთ უხუცეს დეპუტატს, გავხსნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. ჩვენ შევიკრიბეთ პირველ სესიაზე დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარების სტალინური პროგრამის უსწრაფესი განხორციელებისათვის.

დეპუტატი გოლოვინი ლაპარაკობს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ამასწინანდელ არჩევნებზე, რამაც ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების დიადი სასიცოცხლო ძალა, ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და რაც საბჭოთა დემოკრატიის ახალი გამარჯვება იყო.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან დეპუტატები და სტუმრები ამხ. გოლოვინის განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოში პირველ საყოველთაო სახალხო დეპუტატად მშრომელებმა ერთსულოვნად აირჩიეს თავისი დიდი ბელადი და მასწავლებელი, ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი ამხანაგი სტალინი.

დეპუტატი გოლოვინი შემდეგ ლაპარაკობს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს თანასწორუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში, დიდი რუსი ხალხის პატრიოტიზმზე, მის სიმტკიცეზე და მამაცობაზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭოთა ადამიანების შრომითს გმირობაზე ომისშემდგომი სოციალისტური მშენებლობის წლებში.

დეპუტატ გოლოვინს წინადადება შეაქვს არჩეული იქნას რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

დეპუტატ პ. ს. პოპკოვის წინადადებით უმაღლესი საბჭო ერთხმად ირჩევს რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატ **მ. პ. ტარასოვს.**

დეპუტატი ტარასოვი ადგილს იკავებს თავმჯდომარის მაგიდასთან. დეპუტატ **ს. ი. კირეევის** წინადადებით რსფსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ირჩევს რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რვა მოადგილეს—ამხანაგებს ხ. ვ. ვალიულინს (თათრეთის ასსრ), თ. პ. გონჩაროვს (კრასნოდარის მხარე), შ. გ. იშკინინას (ბაშკირეთის ასსრ), ბ. გ. მუზრუკოვს (ქალაქი სვერდლოვსკი), ა. ნ. ნესმეიანოვს (კემეროვოს ოლქი), მ. ვ. სარიჩევას (ქალაქი მოსკოვი), ლ. ი. სოკოლოვს (ნოვოსიბირსკის ოლქი), ნ. პ. ტარასოვს (ქალ. ლენინგრადი).

რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ადგილებს იკავებენ თავმჯდომარის მაგიდასთან.

შემდეგ დეპუტატ **ზ. ა. ანდრეევას** წინადადებით სესია ამტკიცებს რსფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა რეგლამენტს.

დეპუტატ პ. ვ. აბრამოვის წინადადებით რსფსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ღებულობს შემდეგ დღის წესრიგს:

1. რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.
2. რსფსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევა.
3. რსფსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და რსფსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.
4. რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.
5. ახალ სამინისტროთა შექმნის შესახებ რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
6. რსფსრ მთავრობის—რსფსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა.
7. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევა.
8. რსფსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შემტანი სარედაქციო კომისიის შექმნის შესახებ.

რსფსრ უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვაზე—რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნებზე.

დეპუტატ **ა. პ. ბოჩკარიოვის** წინადადებით რსფსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს სამანდატო კომისიას 11 კაცის შემადგენლობით. სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია დეპუტატი ვ. ტ. პროხვატილოვი, სამანდატო კომისიის წევრებად—დეპუტატები გ. თ. ბადაევი, ს. ა. ვაგაპოვი, კ. ა. ვასილიევა, პ. ს. ვორონცოვი, ფ. ი. გოლიკოვი, ბ. დ. გრეკოვი, ი. ს. ლატუნოვი, ი. კ. ლოსკუტოვი, თ. ვ. მიტუსოვა, კ. მ. ხმელევსკი.

ამის შემდეგ რსფსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა იხურება.

შემდეგი სხდომა შესდგება 21 ივნისს საღამოს 6 საათზე. (საქდესი).

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

18 ივნისს, რუსთაველის თეატრის მორიგი მეთორმეტე საგასტროლო სპექტაკლის „სადგურის უფროსის" შემდეგ სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების დიდ დარბაზში შესდგა ა. ხორავას და ა. ვასაძის შემოქმედებითი საღამო. დაესწრნენ მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და მოსკოვის თეატრების გამოჩენილი მსახიობები. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალურმა კრიტიკოსმა იოსებ ალტმანმა.

საღამოზე წარმოდგენილი იქნა ნაწყვეტები სპექტაკლებიდან: „კიკვიძე", „არსენა", „დიდი ხელმწიფე", „ჰამლეტი", „ოტელო", „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". ა. ხორავას და ა. ვასაძის გარდა მათში მონაწილეობა მიიღეს თეატრის სხვა მსახიობებმაც: გ. დავითაშვილმა, გ. შავგულიძემ(?), ა. კობალაძემ და სხვებმა. საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა. დასასრულ სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ოზეროვი, რომელმაც მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით მადლობა გადაუხადა ქართველ სტუმრებს მათ მიერ მოწყობილი თეატრალური ხელოვნების დღესასწაულისათვის. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ა. ვასაძე.

19 ივნისს რუსთაველის თეატრმა მოსკოველებს მესამედ უჩვენა ჩირსკოვის პიესა „გამარჯვებულნი".

• • •

რუსთაველის თეატრის გასტროლები კვლავ იპყრობს მოსკოველი მაყურებლების ყურადღებას. 20 ივნისს დიდი წარმატებით მესამედ იყო ნაჩვენები სპექტაკლი „ხევისბერი გოჩა".

მოსკოვის გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ რუსთაველის თეატრს. გაზეთ „კულტურა ი ჟიზნში" მოთავსებულია ამხ. მარკოვის სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსთაველის თეატრმა ისტორიული როლი შეასრულა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მოწინავე პოზიციები დაიკავა საბჭოთა თეატრის განვითარების საერთო საქმეში. სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსთაველის თეატრი გულდასმით ეძებს ახალ გზებს თანამედროვეობის მოწინავე იდეების გამოსახატავად. თავის მაღალ აქტიორულ ოსტატობას თეატრი ღრმა იდეურ შინაარსს უქვემდებარებს. ყოველ პიესაში იგი ეძებს მისთვის დამახასიათებელ სცენიურ გამოხატულებას. სტატია მაღალ შეფასებას აძლევს თეატრის წამყვანი არტისტების ხორავას, ვასაძის, ჭავჭავაძის, დავითაშვილის, აფხაიძის, მჟავიას, თოიძის თამაშს. სტატიის ავტორი სწერს — „თეატრს შეუძლია იამაყოს თავისი მუშაობით. იგი დიდ სიხარულსა და სიამოვნებას გვანიჭებს. თეატრი ამართლებს მის მიერ მოხვეჭილ სახელს. მაგრამ ვისაც ბევრი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება. თეატრს კვლავ დიდი მუშაობა მოელის. პირველ რიგში საჭიროა მუშაობა დრამატურგებთან, რომელნიც უნდა დაეხმარონ თეატრს ჩვენი დიადი თანამედროვეობის ამსახველი პიესების შექმნაში. ფართო და მშვენიერია თეატრის გზა. ვუსურვოთ მას გამარჯვება კეთილშობილურ შემოქმედებითს შრომაში".

„სოვეტსკოე ისკუსტვო" ათავსებს მეორე სტატიას, მიძღვნილს რუსთაველის თეატრისადმი. ამ სტატიაში, რომელიც ამხ. ნოვიცკის ეკუთვნის, აგრეთვე მაღალი შეფასება ეძლევა რუსთაველელთა სპექტაკლებს. სტატიაში აღნიშნულია, რომ თეატრს აქვს ახლის ღრმა გრძნობა. ავტორი აღფრთოვანებას გამოსთქვამს ხორავას მიერ ოტელოს როლის განსახიერების გამო. დასასრულ ამხ. ნოვიცკი სწერს, რომ რუსთაველის თეატრს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო თეატრალური ხელოვნების საგანძურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკდესის ცნობა

ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა წარდგინება ბ-ნ მარშალის განცხადების გამო

როგორც პრესიდან ცნობილია, 5 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი მარშალი ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოვიდა სიტყვით, რომელშიც განაცხადა, რომ თუ ევროპის ქვეყნები ინიციატივას გამოიჩენენ მათი სამეურნეო აღდგენის გეგმების შემუშავების საქმეში, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მათ, რაც შეესაბამება როგორც ევროპის ქვეყნების, ისე თვით ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს.

ამერიკული პრესა კომენტარს უკეთებს ბ-ნ მარშალის ამ განცხადებას და განმარტავს, რომ საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატების კრედიტს ევროპის ქვეყნებისათვის რამდენიმე მილიარდი დოლარის რაოდენობით. ამასთან პრესამ არაფერი სთქვა კრედიტის პირობების შესახებ, ისევე როგორც მან არაფერი სთქვა ამ საკითხისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამოკიდებულების შესახებ.

17 ივნისს დიდი ბრიტანეთის ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა პეტერსონმა ინახულა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი და შემდეგი განუცხადა:

როგორც საბჭოთა მთავრობისათვის ცნობილია, მისი უდიდებულესობის მთავრობა უაღრესად დაინტერესებულია ევროპის ეკონომიური აღდგენის საკითხით. ბ-ნ მარშალის მიერ მის ამასწინანდელ განცხადებებში წამოყენებული წინადადება იმის შესახებ, რომ ევროპის ქვეყნებმა ინიციატივა გამოიჩინონ რეკონსტრუქციის გეგმების მომზადებაში, მჟონი ახალ იმედს წარმოადგენს, რომ შესაძლებელი იქნება დახმარების აღმოჩენა ევროპის ეკონომიურ სიძნელეთა დასაძლევად. ამის გამო მისი უდიდებულესობის მთავრობას უაღრესად სასწრაფოდ მიაჩნია საკითხი იმის შესახებ, რომ ევროპის ქვეყნებმა წამოაყენონ რაიმე კონკრეტული გეგმა, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას რაც შეიძლება მალე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად. ეს ეკონომიური და არა პოლიტიკური ხასიათის საკითხია. მისი უდიდებულესობის მთავრობა მოხარული იქნება მიიღოს ყოველგვარი შენიშვნა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა მოისურვებს წარმოადგინოს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების გამო.

ვ. მ. მოლოტოვმა უპასუხა ბ-ნ პეტერსონს, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ამ საკითხზე საბჭოთა მთავრობას აქვს, იმით ამოიწურება, რაც გამოქვეყნებული იყო პრესაში, და შეეკითხა, ხომ არა აქვს ბრიტანეთის მთავრობას უფრო სრული ინფორმაცია. ამაზე ბ-ნმა პეტერსონმა უარყოფითად უპასუხა.

ამიტომ ვ. მ. მოლოტოვმა განუცხადა ბრიტანეთის ელჩს, რომ არასაკმაო ინფორმაციის გამო, რაც საბჭოთა მთავრობას მოეპოვება, მას ჯერ არ შეუძლია აზრი გამოსთქვას ამ საკითხზე, მაგრამ საბჭოთა მთავრობა, რასაკვირველია, დაინტერესებულია უფრო სრული ინფორმაციის მიღებით.

იმავე დღეს საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში ბ-ნმა შარპანტიემ ინახულა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი და გადასცა მას ცნობა, რომელიც ბ-ნ პეტერსონის ცნობის ანალოგიურია. ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობების წარმომადგენლებმა აღნიშნული ცნობები გადასცეს მოსკოვში უკვე მას შემდეგ, რაც პარიზში დაიწყო მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ბევინსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ბიდოს შორის, რაც 17 და 18 ივნისს გაგრძელდა.

19 ივნისს საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში ბ-ნმა შარპანტიემ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი და გადასცა მას შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ინტერესით განიხილეს ბ-ნ მარშალის მიერ ა. წ. 5 ივნისს ჰარვარდის უნივერსიტეტში გაკეთებული განცხადება. ორივე მთავრობა უდიდესი კმაყოფილებით ხვდება წინადადებებს, რომლებიც გააკეთა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა.

ბ-ნ მარშალს ოფიციალური წინადადებით არ მიუმართავს მთავრობებისათვის, მაგრამ თავის სიტყვაში მან აშკარად გამოსთქვა აზრი თვით ევროპის ერების მიერ ევროპის ეკონომიური პროგრამების შემუშავების შესახებ და აღნიშნა, რომ მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში შეერთებული შტატები მზად არიან დახმარება აღმოუჩინონ ამ პროგრამების შესრულებას. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ფიქრობენ, რომ ეს დახმარება აუცილებელია, მაგრამ იგი ნაყოფს გამოიღებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ევროპის ქვეყნები მაქსიმალურ ღონისძიებას განახორციელებენ. რათა კვლავ განავითარონ ის რესურსები, რასაც უმეტეს წილად ისინი აწარმოებდნენ ომამდე და რაც მათ ამჟამად მნიშვნელოვანი რაოდენობით უნდა შემოიტანონ სხვა ქვეყნებიდან ისევე, როგორც საჭირო სამრეწველო მოწყობილობა ამერიკის კონტინენტიდან. ორივე მთავრობა ფიქრობს, რომ ევროპის ეკონომიური მდგომარეობა სავსებით აუცილებელს ხდის საერთო პროგრამების რაც შეიძლება მალე შედგენას. ეს პროგრამები უნდა შეიმუშაოს ევროპის ყველა ქვეყანამ, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის დაწესებულებებთან კონტაქტით. ინიციატივის გამოჩენა საჭიროა უაღრესად სასწრაფოდ ევროპის ბევრი ქვეყნის ეკონომიური და საფინანსო მდგომარეობის გამო. ეს ინიციატივა, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების აზრით, უნდა ეკუთვნოდეს ევროპის სამ მთავარ სახელმწიფოს. ამ პირობებში, მანამდე სანამ დაიწყება ამერიკის წინადადებათა რეალიზაციის პრაქტიკულ ღონისძიებათა რაიმე შესწავლა, ბ-ნი ბევინი და ბ-ნი ბიდო სთავაზობენ ბატონ მოლოტოვს მოწვეულ იქნას დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი იმ კვირაში, რომელიც 23 ივნისს დაიწყება, იმ ადგილას, რომელიც არჩეულ უნდა იქნას იმისათვის, რომ განხილულ იქნას ყველა ეს პრობლემა. ბ-ნ ბევინისა და ბ-ნ ბიდოსათვის შესახვედრად ყველაზე მოხერხებული ადგილები იქნებოდა, რა თქმა უნდა, პარიზი ან ლონდონი. მაგრამ, თუ ბ-ნ მოლოტოვს მიაჩნია, რომ საჭიროა არჩეულ იქნას რომელიმე სხვა ქალაქი, რომელიც მოსკოვსა და ლონდონს შორის შუა გზაზე მდებარეობს, ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ მისი წინადადება".

იმავე დღეს ბრიტანეთის ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა პეტერსონმა აგრეთვე ინახულა ი. ა. მალიკი და გადასცა მას ასეთივე შინაარსის ნოტა.

ი. ა. მალიკმა განუცხადა ბ-ნებს შარპანტიესა და პეტერსონს, რომ ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების განცხადებანი გადაეცემა საბჭოთა მთავრობას.

ამჟამად ეს წარდგინებანი გადაცემულია საბჭოთა მთავრობის განსახილველად.

საკდესი უარჰყოფს

იაპონიაში მყოფ ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა გაზეთმა „სტარს ენდ სტრაიპსმა" ამ დღეებში გამოაქვეყნა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს და ჩინეთის სააგენტო სენტრალ ნიუსის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ „რუსეთი გეგმავდა და ხელმძღვანელობს ჩინეთის კომუნისტური არმიის შეტევას მანჯურიაში და ეხმარება ამ შეტევას 30 ათასი იაპონელი სამხედრო ტყვითა და 90 ტანკით", რომლებსაც იაპონელი სამხედრო ტყვეები და რუსები მართავენ. ცნობა შეიცავს აგრეთვე მთელ რიგ სხვა ფანტასტიკურ მონაჭორებს.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამერიკისა და ჩინეთის სააგენტოების ეს ცნობა უხეში ცილისმწამებლური ნაყალბევია, რომელიც ბინძურ მიზნებს ისახავს.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პლენუმი

19-20 ივნისს თბილისის ბერიას სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს მე-12 პლენუმი. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების განვლილი მუშაობის შედეგებსა და მომავალ ამოცანებზე მოხსენება გააკეთა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ მაიორმა ა. მარლანიამ.

გასულ წელს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა სერიოზული წარმატება მოიპოვეს. სამხედრო სწავლების დარგში გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით, საჰაერო ქიმიური თავდაცვის ნორმებზე მოსახლეობის მომზადების დარგში — 128 პროცენტით. შეიქმნა თავდაცვა-ავიაქიმის 505 ახალი პირველადი ორგანიზაცია, მიღებულ იქნა 25 ათასამდე ახალი წევრი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა მოკავშირე რესპუბლიკების თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს შორის გასულ წელს პირველი ადგილი დაიკავა, რისთვისაც მას მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა და დაჯილდოებულ იქნა ნიშნით „აქტიური თავდაცვითი მუშაობისათვის". ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს მიმდინარე წლის განვლილ თვეებში. მუშაობაში განსაკუთრებული წარმატება აქვთ აჭარის ასსრ, თბილისის, ქუთაისის, ცხაკაიას, ზესტაფონის, გორის, სამტრედიის, სიღნაღის და ბორჯომის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კასპის, კაჭრეთის, მცხეთის, თეთრიწყაროს, ადიგენის და ასპინძის რაიონების თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 21 კაცმა, მათ შორის ამხ. ნ. გოგიავამ (აჭარის ასსრ), მ. საენკომ (აფხაზეთის ასსრ), გ. ტიბილოვმა (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), მ. შეკლაშვილმა (თბილისი), პ. მუსერიძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგის მოადგილე).

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი კაცობრიობის ცივილიზაციის ხსნაში

გავლენ წლები, ათეული წლები, საუკუნეები, ხოლო ადამიანები კვლავ და კვლავ მიაპყრობენ თავიანთ ფიქრსა და აზრს იმას, რაც საბჭოთა ხალხმა გააკეთა ფაშისტური ბნელეთისაგან ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხსნისათვის, კაცობრიობის ცივილიზაციის ხსნისათვის.

ყაზბეგის ძირში მდგომი გაცილებით ნაკლებად გრძნობს მთელ მის ბუმბერაზობას, ვიდრე მაშინ, როცა საკმაოდ დაიწევ უკან და შორიდან უყურებ მას. მომავალმა თაობებმა, შესაძლოა, კიდევ უფრო სრულად და ყოველმხრივ შეაფასონ საბჭოთა კავშირის როლი ჰიტლერული მონობისა და ფიზიკური მოსპობისაგან მსოფლიოს ხალხთა ხსნაში. დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ზოგჯერ არა აქვთ სურვილი სავსებით სამართლიანი იყვნენ და სათანადო მიუზღონ შვიდი მილიონი დაღუპული საბჭოთა მებრძოლის ხსოვნას.

შევჩერდეთ დიდი სამამულო ომის მხოლოდ ორ ეტაპზე—პირველსა და უკანასკნელზე.

როცა 1941 წლის ოცდაორ ივნისს გერმანელთა ურდო რუსეთში შემოიჭრა, მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა, ევროპისა და ამერიკის საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლნი (ანდა ისინი, ვისაც ასეთებად სთვლიან) სიტყვიერადაც და პრესაშიც აცხადებდნენ, საბჭოთა კავშირი შეტევას ვერ გაუძლებსო. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტშიც კი იმ დროს ამბობდნენ, „ყოველ შემთხვევაში რუსები წინააღმდეგობის გაწევას ახალ წლამდე შესძლებენო".

უნტერ-დენ-ლინდენზე, ბერლინის მთავარ ქუჩაზე მდებარე სასტუმროთა მეპატრონეებისაგან მაყურებელნი ოთახების ფანჯრებს ქირაობდნენ 15 სექტემბრისათვის, როცა დანიშნული იყო დედაქალაქში იმ ჯარების საზეიმო დაბრუნება, რომლებიც რუსეთს დაიპყრობდნენ. „წითელი არმია აღარ არსებობს და რუსებს მხოლოდ სიჯიუტით არა სურთ ჯერჯერობით აღიარონ ეს", — გაჰყვიროდნენ რადიოთი გებელსი და მისი ხელქვეითნი აგვისტოში, ჯერ კიდევ კიევის დაკავებამდე. უკვე ადრიან შემოდგომაზე ერთმა დანიურ-გერმანულმა კინოფირმამ საჯარო ვაჭრობით მეტად დიდ ფასად მიიღო უფლება „გადაიღო" ჰიტლერის საზეიმო შესვლა კრემლში.

„გათავდა: ყველაფერი, რასაც გერმანელის თვალი ხედავს ნემანსა და წყნარ ოკეანეს შუა, არხანგელსკსა და ბაქოს შუა,—ჩვენია, ჩვენია, ჩვენია!"—გაჰყვიროდნენ გაშმაგებით პრესა და რადიო გერმანიაში და დასავლეთ ევროპის ყველა იმ ქვეყანაში, რომლის ოკუპაციაც გერმანელებმა მოახდინეს.

მრავალ თვეს გაგრძელდა დაუსჯელი ძარცვის იდეით შეპყრობილი შმაგი შეშლილის ეს ბოდვა, გერმანიისათვის სამარცხვინო აღვირახსნილი ავაზაკური ურდოს კოლექტიური უგუნურების ეს შეტევები, ავაზაკური ურდოსი, რომელსაც გაჰყვნენ გერმანელი ხალხის მასები—ნაწილი ხალისით, ნაწილი უხალისოდ.

პრუსიული ჩექმით გათელილ, წამებითა და სიკვდილით დასჯით ტერორიზებულ კონტინენტურ ევროპაში ცოტა ვინმეღა მოელოდა ხსნას.

და როცა გერმანიის შიგა ჰიტლერელთა და გერმანიის ფარგლებს გარეთ მთელი ფაშისტური ხროვის სიხარულის გამაყრუებელ ღრიანცელში შეიჭრა ზარის პირველი რეკა, რომელიც მოასწავებდა ავაზაკური ფაშისტური ბუნაგის გარდუვალ დაღუპვას, როცა წითელმა არმიამ მძლავრი გამანადგურებელი დარტყმით უკუაგდო მოსკოვის მისადგომებიდან ფაშისტთა ურდო, და გერმანელებს სუსხიანი ზამთრის გატარება კრემლში კი არ მოუხდათ, არამედ ნამქერში, ამ გარემოებამაც კი ევროპასა და ამერიკაში ყველას როდი აუხილა თვალი.

ახლა უამრავი ჩვენებიდან ვიცით: საშუალო ადამიანი დასავლეთ ევროპაში მხოლოდ მას შემდეგ დარწმუნდა, რომ ხსნა მოდიოდა, როცა გერმანელები უმაგალითოდ განადგურებულ იქნენ სტალინგრადთან.

რისაგან ხსნა? დროა საბოლოოდ შევიგნოთ და ვაღიაროთ, რომ არცერთ ომს, რომელიც კი ისტორიაში ოდესმე მომხდარა, არ ახსოვს ის, რასაც ფაშისტი მტარვალები ხალხებს უმზადებდნენ. ჰიტლერი „უმაღლესი რასის", ესე იგი თავისი ერთგული ქვეშევრდომების მოწონებითა და ენერგიული თანაგრძნობით ცდილობდა უტყვ მონებად გადაექცია მთელი ევროპა, მთელი მსოფლიო.

ჰიტლერელთა ბანდას სძულდა ყოველგვარი დემოკრატია, წმინდა ბურჟუაზიულიც კი. „ჩვენ გახურებული შანთით ამოვწვავთ მთელ კაცობრიობაში საფრანგეთის რევოლუციის წყეული მემკვიდრეობის, ძმობის, ერთობისა და თავისუფლების ყველა ამ ლოზუნგს, მოქალაქის უფლებათა მთელი ამ დეკლარაციების ყოველგვარ ხსოვნას!"—ისტერიულად ჩხაოდა გებელსი რადიოთი და მიტინგებზე. ბერლინელი ჯალათების ბანდის სრული დიქტატურა ევროპაში, შემდეგ მთელ მსოფლიოშიც, აი ეს იყო „ახალი წესრიგი", რის დამყარებასაც ჰიტლერელთა ბანდა აპირებდა (და ამას ოფიციალურად აცხადებდა!) „ათასი წლით", არც მეტი და არც ნაკლები.

რაოდენ უფრო სძულდა ბოროტ კრეტინს, რომელიც გერმანიის სამარადისო სამარცხვინოდ თორმეტ წელს განაგებდა ამ ქვეყანას, სოციალისტური დემოკრატია, რაც დედამიწის მეექვსედზე დამყარდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ! რაოდენ აშინებდა ამ ლაჩარ არამზადას, რომელიც თავის ყოყოჩა ბრძანებებს გზავნიდა იმპერიის კანცელარიის სულ ქვედა სარდაფიდან, — როგორ გამოჰყავდა მოთმინებიდან იგი და მის გარშემო თავმოყრილი ბანდა იმ აზრს, რომ არც „მეხუთე კოლონით", არც სხვა რამით არ შეიძლება საბჭოთა ხალხის გახრწნა და გარყვნა და რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობს ისეთი ჯგუფი, რომელსაც შეიძლებოდა სერიოზულად დამყარებოდა იგი იმ დიადი სოციალისტური სახელმწიფოს დამონების ცდის დროს, რომელსაც ევროპის ნახევარი და აზიის ნახევარი უკავია! სხვანაირად რომ ვთქვათ: საბჭოთა კავშირში არ აღმოჩნდა ის ჯგუფი, ის კლასი, ისეთი კლასობრივი ფენაც კი, რომლისთვისაც სასარგებლო ყოფილიყო ჯერ ფარული, ხოლო შემდეგ აშკარა კავშირი ფაშიზმთან.

ბერლინელი მხეცისათვის, რომელმაც ჯერ გერმანია დაიკავა, ხოლო შემდეგ საფრანგეთი და თითქმის მთელი ევროპა, სავსებით ნათელი იყო, რომ მილიონობით ადამიანები, რომლებიც მიწაზე შრომობენ უმემამულოდ და ფაბრიკაში უმეწარმეოდ, არამცდაარამც არ გაჰყოფდნენ თავს უაღრესად გაავთრებული წინააღმდეგობის გაუწევლად ახალი—გერმანელი მემამულისა და ახალი—აგრეთვე გერმანელი მეფაბრიკის უღელში. უფრო მეტიც: სანამ საბჭოთა კავშირი არსებობს, არამცდაარამც არ შეურიგდებიან საბოლოოდ თავიანთ მწარე ხვედრს არც ლავალისა და პეტენის მიერ გაყიდული ფრანგები, არც ჰიტლერიზმის შავხალათიანი მოკავშირეების მიერ დაბეჩავებული იტალიელები, არც ესპანელები, სადაც ფრანკოს წამოსკუპება მოხერხდა.

ვინაიდან საბჭოთა მუშებისა და გლეხებისაგან დიდი წინააღმდეგობაა მოსალოდნელი, — ფიქრობდნენ ფაშისტები, — სწორედ ამიტომ ჯერ უნდა გაიწმინდოს ნიადაგი, ბოლო მოეღოს იმ ხალხებს, რომლებსაც შეუძლიათ „ზურგში მახვილის ჩაცემა", როცა „უმაღლესი რასა", ჰიტლერის, კაიტელისა და სხვათა წინამძღოლობით, ძლევამოსილად ივლის მოსკოვისაკენ. მხოლოდ ამ საშიშროების მოსპობის შემდეგ იქნება შესაძლებელი მოეწყოს ბლიც-კრიგი, მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ელვისებური დამორჩილება.

საქმე მარტო უცხო ტერიტორიის დაპყრობა, მსხვერპლის სრული გაძარცვა, მრავალი ათასი ადამიანის მხოლოდ სადისტური აბუჩად აგდება და დახოცვა, მარტო მილიონობით ადამიანის გასაჟლეტად სპეციალური ბანაკების დაარსება,—მარტო მთელი ეს ოსვენციმები, მაიდანეკები, ბუხენვალდები, დახაუ და სხვა კი არ იყო. მთავარი ის იყო, რომ გერმანელთა სარდლობამ პრინციპულად დაისახა მიზანი: სავსებით გაეჟლიტა მთელი რიგი ხალხები მთელი ეს „გერმანული იარაღით დაპყრობილი ტერიტორიის ყოფილი მფლობელნი, რომლებიც გერმანიას არ ესაჭიროებიან". ასე უწოდებდნენ ჰიტლერულ დოკუმენტებსა და პუბლიცისტურ დეკლარაციებში პოლონელებს, ჩეხებსა და სერბებს.

რასაკვირველია. ამდენადვე არასაჭირო, და უფრო მეტიც,—საშიშ ხალხებს ჰიტლერელები მიაკუთვნებდნენ რუსებსაც. „რუსეთის რევანში არასოდეს არ იქნება, იმიტომ რომ რუსები არ იქნებიან",—აცხადებდნენ გებელსები და ფრიკები. ისინი აქეზებდნენ ჯალათებს და არწმუნებდნენ სრულ დაუსჯელობაში. არც ჩეხთა რევანში იქნება, არც პოლონელთა რევანში იქნება, არც იუგოსლავთა რევანში იქნება — სულ იმავე მიზეზით.

არა კოლონიზაცია, არამედ გაჟლეტა!—ასეთი იყო ჰიტლერელთა ლოზუნგი.

ისინი ცდილობდნენ დაუყოვნებლივ გაეჟლიტათ მოსახლეობის ნაწილი: ინტელიგენცია, დამარცხებული ხალხების გონებრივი მწვერვალი. ჯალათები შიმშილითა და წამებით ხოცავდნენ კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორებს და საკონცენტრაციო ბანაკში გარდაცვლილი ერთ-ერთი მათგანის ცოლს ღიმილით უთხრეს: „პოლონელებს ამიერიდან მეცნიერებაზე მუშაობა სრულიადაც აღარ დასჭირდებათ, მათ მიწა ხნან და შეშა აპონონ".

გერმანელ ფაშისტთა ურდო აოხრებდა და ბილწავდა პუშკინისეულ ადგილებს, იასნაია პოლიანას, ჩაიკოვსკის სახლს და არ მალავდა თავის განზრახვას—აღმოეფხვრა საერთოდ რუსული კულტურის ყოველგვარი ხსოვნა. რათ უნდათ მონებს, რომელთა ისტორიაც დამთავრდა და რომლებიც ამიერიდან მხოლოდ იმისთვის იცოცხლებენ, რომ ზედამხედველთა შოლტის ქვეშ ხნან მიწა გერმანელებისათვის,—რათ უნდა ამ სასოფლო-სამეურნეო ცოცხალ ინვენტარს ახსოვდეს, რომ ოდესღაც მათ ჰყავდათ ვიღაც პუშკინი და ლევ ტოლსტოი?—ცინიკურად ამბობდნენ ფაშისტი ბარბაროსები.

სრული, ულმობელი დაღუპვა მოელოდა მთელ რიგ დიდ ხალხებს. საშინელი იყო ის ხვედრი, რომელიც მათ ბერლინის დანაშაულებრივმა ბანდამ განუმზადა.

სტალინგრადის წინ გერმანელ ფაშისტთა ბანდა ოდნავაც აღარ მალავდა, რომ მას სულაც არა აქვს განზრახული დასჯერდეს აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთს. „ომის შემდეგ ევროპის არცერთ ქვეყანას არ უნდა ეგონოს, რომ იგი თავის სრულ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს. ევროპის ყველა ქვეყანა უნდა შევიდეს გერმანიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში". ეს წარმოუდგენელი აღვირახსნილი კადნიერებით აღსავსე ფრაზა წარმოსთქვა ჰიტლერის მოადგილემ ბელგიაში.

მეორე მოადგილემ — გენერალმა შტიულპნაგელმა, რომელიც საფრანგეთში ყაჩაღობდა, განმარტა: „ჩვენ იმდენ მოსახლეობას გავჟლეტთ ჩვენი მოწინააღმდეგეების ქვეყნებში, რომ სულ ერთია ისინი ვეღარასოდეს წამოდგებიან ფეხზე!"

კიდევ უფრო საბედისწეროდ სახავდა არა მარტო ევროპის, არამედ უკვე მთელი კაცობრიობის მომავალს გერმან გერინგი. „დღეს შენ ჩემს ფოტოსურათს იღებ აქ, ეიფელის კოშკთან, ხვალ გადამიღებ ბუკინჰემის სასახლეში, ზეგ კი—ნიუ-იორკის ცათამბჯენებთან!"—განუცხადა მან თავის ფოტოგრაფს 1942 წელს. ამასთან გერინგმა მოითხოვა, რომ ეს აფორიზმი დაუყოვნებლივ უკვდავეყოთ აფსკაზე გადაღებით. მას არ შეეძლო მაშინ სცოდნოდა, რომ მის სიტყვებს ზუსტად აღადგენდნენ ამავე აფსკიდან ნიურნბერგის პროცესზე...

აი როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი კაცობრიობის მომავალი გერმანელ ფაშისტ ბანდიტებს: „როცა მესმის, რომ ამბობენ სიტყვა კულტურას, რევოლვერს ამოვიღებ და დამცავს გადავწევ!"—სწერდნენ გებელსის მიბაძვით დიდი და პატარა გებელსები, ფრიკები, დიტრიხები.

კაცობრიობის წინაშე გადაიშალა ბნელი, აშმორებული უფსკრული, სადაც სულიერი კულტურის მთელი მონაპოვარი, თავისუფლების, ადამიანური ღირსების, მორალის ყოველი ცნება უკვალოდ და უკლებლივ უნდა ჩანთქმულიყო...

და აი სწორედ აქ გაისმა ავის მაუწყებელი ზარის მეორე რეკა, კიდევ უფრო ძლიერი, ვიდრე ის, რომელიც გაისმა 1941 წლის დეკემბერში ვოლოკოლამსკის გზებზე. და ამჯერად მისი დაყრუება, თუნდაც დროებით, აღარ მოხერხდა: იძულებული გახდნენ სტალინგრადის შემდეგ მთელ გერმანიაში სამი დღით გამოეფინათ შავი სამგლოვიარო ალმები.

ამ დღიდან სამგლოვიარო ზარი ფაშისტთა ავაზაკურ ბანაკში ერთ დღესაც აღარ შეწყვეტილა. პირიქით, იგი უფროდაუფრო ძლიერად, გერმანელთათვის უფროდაუფრო ავისმაუწყებლად გუგუნებდა. მაგრამ თუ გერმანიისათვის ეს ზარი სამგლოვიარო იყო, ევროპისათვის ეს იყო სადღესასწაულო რეკა, რომელიც მოასწავებდა მოახლოებულ განთავისუფლებას, იმ ჟამის დადგომას, როცა უნდა გამქრალიყო, საბოლოოდ დაღუპულიყო ჰიტლერული სიბილწე.

ჩვენ ოდნავაც არ გვსურს შევამციროთ ის ძვირფასი წვლილი, რაც საერთო მტერზე გამარჯვების საქმეში ჩვენმა მოკავშირეებმა შეიტანეს. მაგრამ არის უცილობელი, ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც შორს ცნობილი ფაქტები. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირმა და მისმა არმიამ თითქმის ომის მთელი ტვირთი გადაიტანეს ისე, რომ ფრონტებზე არსებითი დახმარება არ მიუღიათ გერმანელთა ურდოებისა და მათი სატელიტების ჯარების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებათა ყველაზე კრიტიკულ დღეებში.

1945 წლის გაზაფხულზე ვერც ამერიკელებმა, ვერც ინგლისელებმა, ვერც ფრანგებმა, ყოველგვარი ღონისძიების მიუხედავად, ვერ შესძლეს, მაგალითად, ეხსნათ ლონდონი რაკეტიანი ყუმბარების დამღუპველი დაბომბვისაგან. სწორედ იმ დღეებში, როცა წითელი არმია, რომელიც გერმანელთა არმიას ანადგურებდა, გერმანელთა მთელი შეიარაღებული ძალების ოთხ მეხუთედს სპობდა და ბერლინს უახლოვდებოდა,—ამ დღეებში ლამანშზე, საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ბელგიაში მოკავშირეებმა, თუმცა მათ წინააღმდეგ გერმანიის ჯარების ძალიან მცირე ნაწილი იბრძოდა, ვერასგზით ვერ შესძლეს მთლიანად დაეკავებინათ სანაპირო და მოესპოთ ის ბუდეები, საიდანაც ლონდონს თავს ატყდებოდა მომაკვდინებელი „ფაუ-2". და როცა უკვე გასრესილი გერმანელი ფაშისტი ურჩხული ბერლინში იყო განრთხმული საბჭოთა მეომრების ფეხქვეშ, როცა კაიტელი ხელს აწერდა თავის ტოტალურ კაპიტულაციას, მაშინ და მხოლოდ მაშინ შესძლო ლონდონიდან ევაკუირებულმა ასი ათასობით ქალმა და ბავშვმა დაბრუნებულიყო 25 პროცენტით დანგრეულ ქალაქში.

ისმება კითხვა, რომელიც მაშინვე დააყენა ლონდონის ერთმა გაზეთმა: რა იქნებოდა, ლამანშზე გერმანიის არმიის არა ერთი მეხუთედი, არამედ თუნდაც ნახევარი რომ ყოფილიყო? მაგრამ საქმეც ის არის, რომ გერმანიის არმიის ოთხი მეხუთედი ამ დროს იღუპებოდა აღმოსავლეთ ფრონტზე საბჭოთა ჯარების მძლავრი დარტყმებით.

ვერაფერი ვერ შეედრება საბჭოთა კავშირის როლს ამ ომში, ომის დასაწყისიდან დასასრულამდე! ის საფრთხე, რომელიც კაცობრიობას მოელოდა, ყველაფერზე საშინელი იყო, რის წარმოდგენაც კი შეიძლება, და საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ, რომელმაც წინასწარ განსაზღვრა მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობა, თავისი მასშტაბით, თავისი პირდაპირი შედეგებით დაჩრდილა ყველაფერი, რაც მრავალ საუკუნეს უნახავს.

მოსკოვი—სტალინგრადი—ბერლინი მარტო საბჭოთა სტრატეგიისა და საბჭოთა გმირობის გამარჯვება კი არ იყო. ეს იყო გამარჯვება საბჭოთა ხალხების დიადი სულისა, რომლებმაც მტკიცედ გადასწყვიტეს უკუეგდოთ თავხედი აგრესორები და ძმური ურღვევი კავშირით, სტალინის გენიალური წინამძღოლობით განდევნეს მტერი რუსეთიდან, საბოლოოდ გასთელეს იგი მისსავე ბუნაგში.

თავისი ისტორიული ცხოვრების თერთმეტი საუკუნის მანძილზე ჩვენს ქვეყანას არაერთხელ მოუპოვებია გამარჯვება, არაერთხელ მიუღწევია დიდების მწვერვალისათვის. მაგრამ 1941-1945 წლების ომში ჩვენი გამარჯვება განსაკუთრებულ ადგილზე დგას მსოფლიო ისტორიაში. ეს გამარჯვება საუკუნეთა მანძილზე იბრწყინებს ჩაუქრობელ შუქად, და შთამომავალთ მოუთხრობს, თუ საბჭოთა ადამიანებმა, რომლებმაც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო შექმნეს, სტალინის უმაღლესი წინამძღოლობით როგორ დაამხეს თავხედი მოძალადენი და გადაარჩინეს არა მარტო თავიანთი მომავალი, არამედ მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის მომავალიც. ვერავინ ვერასოდეს ვერ შესძლებს ამის მიჩქმალვას ან დავიწყებას.

ე. ტარლე

აბრეშუმის პარკის დამზადება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს 20 ივნისის ცნობებით, წითელწყაროს რაიონში აბრეშუმის პარკის სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია 54,4 პროცენტით, სიღნაღის რაიონში—34,8, ლაგოდეხის — 92,9, გურჯაანის — 26, კაჭრეთის — 25, ყვარლის — 91,4, თელავის — 77,8, ახმეტის — 101,7, საგარეჯოს — 31,1, თბილისის—66,3, მცხეთის — 50, კასპის — 32,6, გორის — 8,9, ქარელის — 2, გარდაბნის — 101,3, მარნეულის — 111, ბოლნისის — 83,3, ორჯონიკიძის — 22,1, ზესტაფონის — 65,6, ჩხარის — 20,5, საჩხერის — 32,5, ქუთაისის — 92,4, წყალტუბოს — 76,6, სამტრედიის — 66,1, წულუკიძის — 74,8, ვანის—64,9, მაიაკოვსკის — 74,7, ტყიბულის — 56,7, ცაგერის — 24,5, მახარაძის—13, ლანჩხუთის — 92,8, ჩოხატაურის — 22,2, აბაშის — 53,1, გეგეჭკორის — 28,6, ცხაკაიას — 30,7, ხობის — 50,3, ზუგდიდის — 61,1, წალენჯიხის — 46,5, ჩხოროწყუს — 59, გალის — 18,2, ოჩამჩირის — 32, გულრიფშის—44,1, სოხუმის — 61,5, გუდაუთის — 24,9, გაგრის რაიონში — 36,7 პროცენტით, ქალაქ ქუთაისში — 108,3, ფოთში — 96,9, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 45,3 პროცენტით.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

20 ივნისისათვის საბჭოთა მეურნეობებმა მოჰკრიფეს 2.474,4 ტონა ჩაის ხარისხიანი ფოთოლი. წლიური გეგმა შესრულებულია 41,2 პროცენტით, ივნისისა — 71,3 პროცენტით.

გონიოს საბჭოთა მეურნეობამ ჩაის კრეფის თვიური გეგმა შეასრულა 40 პროცენტით, სალიბაურის — 84,2, ჩაქვის — 95,6, ოჩხამურის — 75,2, ცეცხლაურის — 73,9, ნატანების — 100, ლაითურის—64,6, ნასაკირალის—69,1, წულუკიძის — 68,3, დიდი ჯიხაიშის?

ჯიხაიშის — 56,1, ლესიჭინის — 78,9, ინგირის — 73,9, ნარაზენის — 74,1, ხეცერის — 63,1, წალენჯიხის — 38,5, აჩიგვარის — 68,9, მოქვის — 62,5, აჭარის ჩაის ტექნიკუმის მეურნეობამ — 180 პროცენტით.

აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 52,4 პროცენტით არის შესრულებული, გონიოს საბჭოთა მეურნეობაში— 40 პროცენტით, სალიბაურის—41,4, ჩაქვის—43,3, ოჩხამურის—35,7, ცეცხლაურის—35,3, ნატანების—52,2, ლაითურის—39,1, ნასაკირალის—44,4, წულუკიძის—40,9, დიდი ჯიხაიშის—38, ლესიჭინის მეურნეობაში—39,5 პროცენტით.

წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ცნობა 17 ივნისისაა.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ XXV წლისთავი

დღეს სრულდება ოცდახუთი წელი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან.

სახელოვანი ისტორიული გზა განვლო „ზარია ვოსტოკამ“ — ერთ-ერთმა უძველესმა რესპუბლიკურმა გაზეთმა. მისი ისტორია — ეს არის გმირული ისტორია ქართველი ბოლშევიკების და მთელი ქართველი ხალხის ბრძოლისა სოციალიზმისათვის, თავიანთი სამშობლოს ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის, სამშობლოსი, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი სტალინი.

მეოთხედი საუკუნეა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მაღლა უჭირავს ჩვენი პრესის ბოლშევიკური პარტიულობის დროშა, მასებში მიაქვს ლენინ-სტალინის დიადი იდეები. ღრმა პარტიულობა, იდეურობა, პრინციპულობა, ბოლშევიზმის მტრებისადმი შეურიგებლობა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ორგანოს დამახასიათებელ თვისებებს.

„ზარია ვოსტოკას“ ამ თვისებებმა მთელი ძალით იჩინა თავი მისი, როგორც პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანოს, არსებობის პირველ დღეებშივე. ეს ის პერიოდი იყო, როცა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, ნგრევის ლიკვიდაციისა და სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის საჭირო იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ერთობლივი ღონისძიებანი.

პარტიის ყველა მტრის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ეხმარებოდა პარტიულ ორგანიზაციებს ლენინ-სტალინის დიადი დროშის გარშემო მშრომელთა შემჭიდროებაში, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის საბრძოლველად მასების დარაზმვაში.

„ზარია ვოსტოკას“ მოღვაწეობაში ახალი აღმავლობა დაიწყო იმ მომენტიდან, როცა გამოქვეყნდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ამიერკავკასიისათვის ისტორიული დადგენილება, მიღებული ამხანაგ სტალინის ინიციატივით. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით გაზეთი ეხმარებოდა პარტიულ ორგანიზაციებს წარმატებით განეხორციელებინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებანი, გაეჩაღებინათ პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა მუშათა და გლეხთა მასებში, განემტკიცებინათ პარტიული რიგები, აემაღლებინათ პარტიული მუშაობის დონე. ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზულად ეხმარებოდა და ეხმარება „ზარია ვოსტოკას“ დიდი პროპაგანდისტული მოღვაწეობა.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ამხ. ლ. პ. ბერიას ცნობილი შრომა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, „ზარია ვოსტოკა“ შეუდგა თბილისის, ბაქოს, ბათუმის, ჭიათურის იმ ძველი მუშებისა და გლეხების მოგონებათა შეკრებას, რომლებიც ამხანაგ სტალინს ხვდებოდნენ რევოლუციურ წრეებსა და ბოლშევიკურ არალეგალურ მუშაობაში. ამ თემისადმი მიძღვნილი იყო გაზეთის ათობით გვერდი, რომლებიც მკითხველთა უდიდეს ინტერესს იწვევდნენ. ასე წარმოიშვა წიგნი „ძველი მუშების ნაამბობი დიდ სტალინზე“ — წიგნი, რომელიც თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა ბევრ ენაზე და უცხო ენებზე.

დიდ აღმზრდელობით როლს ასრულებს აგრეთვე გაზეთის მიერ გამოქვეყნებული მასალები საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების ისტორიიდან, ამხანაგ სტალინის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილების ისტორიიდან. მაგალითად, გაზეთმა რამდენიმე გვერდი მიუძღვნა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, გორის, ბათუმისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების რევოლუციურ წარსულს.

ასრულებდა რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“, „ზარია ვოსტოკას“ რედაქციამ თავის გარშემო დარაზმა პროპაგანდისტთა აქტივი და კიდევ უფრო ფართოდ გაშალა მუშაობა პარტიის ისტორიის მასალების შეკრებისა და დამუშავებისათვის. გაზეთში დაბეჭდილი სტატიებისაგან შესდგა რამდენიმე კრებული, რომლებიც წარმოადგენენ დამხმარე მასალას ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი ტომების, ბელადის ბიოგრაფიის, აგრეთვე ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესასწავლად.

სერიოზულად ეხმარება პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს საერთაშორისო მიმოხილვები და „პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე“, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება „ზარია ვოსტოკაში“.

ათი წლის წინათ გაზეთის ფურცლებზე სათაურით „ხალხთა სტალინური მეგობრობის წერილები“ დაიწყო მიწერ-მოწერა საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეებს შორის, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორი საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას. ამ შეჯიბრებაში ჩაებნენ საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მშრომელნი, ამიერკავკასიისა და სტალინის რკინიგზების კოლექტივები, ჭიათურისა და ნიკოპოლის მარგანეცის სამადნეთა მაღაროელები, ტყიბულის, ტყვარჩელისა და დონბასის მეშახტეები, რიონჰესისა და დნეპრჰესის მუშები და ინჟინრები, კიევისა და თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტები და პროფესორები.

ამ შეჯიბრებაში „ზარია ვოსტოკას“ როლი დაუღალავი ორგანიზატორის როლია. გაზეთი სისტემატურად აშუქებდა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა შეჯიბრების მიმდინარეობას, აჩვენებდა მათ მიღწევებს, აკრიტიკებდა ნაკლოვანებებს.

ომამდელ წლებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დარგში შეძენილი გამოცდილება გაზეთმა უნარიანად გამოიყენა, როცა დაიწყო დიდი სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. „ზარია ვოსტოკას“ სარედაქციო კოლექტივმა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა თავისი მუშაობა. „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ — ეს სტალინური მოწოდება ომიანობის წლებში გაზეთის საბრძოლო სამოქმედო პროგრამა გახდა. გაზეთი მოუთხრობდა იმ ქართველ მეომართა საგმირო საქმეებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების სახელოვანი შვილების მხარდამხარ იბრძოდნენ მოსკოვთან და ლენინგრადის კედლებთან, კავკასიონის მთისძირებში და სტალინგრადის სანგრებში, უკრაინის ველებში, აღმოსავლეთ პრუსიასა და გერმანიის დედაქალაქში. გაზეთის ნარკვევები, სტატიები, კორესპონდენციები პატრიოტული საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდნენ ზურგის მშრომელებს და მეომრებს ფრონტებზე, პარტიზანულ რაზმებში, სადაც რედაქცია ხშირად გზავნიდა გაზეთს და გაზეთისათვის საუკეთესო ჯილდოს წარმოადგენდა მისთვის გაგზავნილი მრავალი წერილი.

მაიორი კუკილაშვილი ფრონტიდან იწერებოდა: „ზარია ვოსტოკას“ ნომერი, სადაც მოთავსებულია სტატია — „ქართველი მეომრები სევასტოპოლისათვის ბრძოლებში“ ჩვენს ნაწილში ხელიდან ხელში გადადის. სამშობლოს ასეთ მზრუნველობას რომ ხედავენ, მეომრები კიდევ უფრო ძლიერად ურტყამენ მტერს“.

საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი და შეუდგა ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელებას. მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, საქართველოს სს რესპუბლიკის წინაშეც, დასახულია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დიადი ისტორიული ამოცანები. „ზარია ვოსტოკა“ ამ ამოცანების ფართო პროპაგანდას ეწევა და თავის ფურცლებს უთმობს მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინრებს, სამეურნეო მუშაკებს ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად. გაზეთი მუდამ ადევნებს თვალყურს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ხრამის ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა საწარმოთა მშენებლობას. იგი იცნობს სამშენებლო მოედნებზე მომხდარ ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენას, ეწევა სტახანოველთა მიღწევების ფართო პოპულარიზაციას, მკვეთრად ეხმაურება ყველა შეფერხებასა და ნაკლს, რომელმაც შეიძლება დააბრკოლოს მშენებლობა.

„ზარია ვოსტოკა“ ცოცხლად, ინიციატივიანად აშუქებს მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამის ვადამდე დამთავრებისათვის საწარმოებში და ტრანსპორტზე გაჩაღებულ შეჯიბრებას. მან მყისვე დაუჭირა მხარი ძვირფას თაოსნობას ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის ქარხნისას, რომლის კოლექტივმაც შეჯიბრების მოწყობაში გამოიყენა „სტახანოვური განრიგი“ — სტახანოველთა ყოველდღიური ვალდებულებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულებას.

გაზეთი აქტიურად იბრძვის საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. პარტიული მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მერგოლურები „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე მოგვითხრობენ, თუ როგორ აღწევენ მარცვლეული და ციტრუსოვანი კულტურების, ყურძნის, თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებას.

გაზეთი სისტემატურად აშუქებს კულტურული მშენებლობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. დიდ ინტერესს წარმოადგენენ სტატიები თემებზე: „ლენინის სახე ქართულ ლიტერატურაში“, „სტალინის სახე ქართულ პოეზიაში“. მთელი რიგი ორიგინალური მასალები საქართველოსთან ახალგაზრდა გორკისა და მაიაკოვსკის ურთიერთობის შესახებ პირველად გამოქვეყნდა „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე. გაზეთი აცნობს მკითხველთ ქართველი მწერლებისა და პოეტების, თეატრების, კინოს ნამუშევრებს.

საბჭოთა საქართველოში მეცნიერული აზრი სჩქეფს. და ეს მკაფიო გამოხატულებას პოულობს „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე. გაზეთი მუდამ აშუქებს სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებას. გაზეთის ავტორთა აქტივის რიგებში არიან აკადემიკოსები, პროფესორები, მეცნიერი მუშაკები.

„ზარია ვოსტოკა“ საქართველოს ბოლშევიკების აქტიური მებრძოლი თანაშემწეა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

(„პრავდა“, 20 ივნისი).

გამარჯვების დროშა ბრანდენბურგის კარზე

გვარდიის უფროსი სერჟანტი ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ოსეფაშვილი ბათუმის ყოფილი როტშილდის და მანთაშევის ქარხნების ძველი რევოლუციონერი მუშის შვილია.

ვლადიმერ ოსეფაშვილი 1941 წლის 22 ივნისიდან სამამულო ომის ფრონტზე იყო. გამბედაობით, პირდაპირი, წრფელი ხასიათით მან მალე მოიპოვა მებრძოლი ამხანაგების სიყვარული. უდიდესი საფრთხის დროსაც კი იგი არა მარტო თვითონ იყო მხნედ, არამედ სხვებსაც ამხნევებდა.

ომის ოთხი წლის განმავლობაში ბევრ საომარ ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა ვლადიმერ ოსეფაშვილს. განსაკუთრებით გამოიჩინა მან თავი მტრის მიწა-წყალზე ბრძოლების დროს.

იმ დივიზიას, რომელშიც ვ. ოსეფაშვილი ნაღმსტყორცნელთა ქვეგანაყოფის უფროსი იყო, დავალებული ჰქონდა ოდერის გადალახვა. გაყინულ მდინარეზე გადასვლა დაიწყო მოწინააღმდეგის შეუნელებელ ცეცხლში. ვ. ოსეფაშვილის ქვეგანაყოფი თავისი ნაღმსტყორცნებით გრიგალისებურ ცეცხლს უშენდა მოწინააღმდეგეს და ამით საშუალებას აძლევდა ჩვენს ქვეითს ჯარს მდინარეზე გადასულიყო. ამ ოპერაციაში წარმატებისათვის ვლადიმერ ოსეფაშვილი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

რამდენიმე დღის შემდეგ გერმანელებმა კონტრიერიში მოიტანეს ჩვენი განლაგების წინააღმდეგ. მტერი მიზნად ისახავდა ოდერის გაღმა ჩვენი ჯარების პლაცდარმის ლიკვიდაციას. საბჭოთა მეომრები გმირულად იცავდნენ დაკავებულ ზღუდეებს. მტრის ჭარბი ძალების მოწოლამ შეათხელა ჩვენი მეომრების რიგები. ვ. ოსეფაშვილს მხოლოდ რამდენიმე მეომარი დარჩა, მაგრამ უკან არ დაუხევია. ნაღმსტყორცნების განუწყვეტელი ცეცხლით ორი საათის განმავლობაში მან 50 ფაშისტი გაჟლიტა და შეაჩერა მტრის წინ წამოწევა.

ბატალიონისათვის საომარი მასალის მოსატანად მეთაურმა ვ. ოსეფაშვილი 15 მეომრით გაგზავნა ოდერს გაღმა. გადასვლა-გადმოსვლა ოდერზე არც ისე ადვილი იყო, ყინული უკვე დნებოდა, მდინარის ყოველი მტკაველი ფაშისტებს გამოთოფილი ჰქონდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვ. ოსეფაშვილმა მაინც მოახერხა საომარი მასალის გატანა ყინულზე მარხილებით. ამ ოპერაციისათვის ვ. ოსეფაშვილმა წითელი ვარსკვლავის მეორე ორდენი მიიღო.

დაიწყო ბრძოლა ბერლინის აღებისათვის. ვლადიმერ ოსეფაშვილის ნაღმსტყორცნელები ნაღმების განუწყვეტელი ცეცხლით გზას უკაფავდნენ ჩვენს ქვეითებს ბერლინის მისადგომებზე. 29-30 აპრილს ისინი უკვე ბერლინის ქუჩებში იყვნენ. აქ უკვე შეუძლებელი იყო ნაღმსტყორცნებით ბრძოლა, ამიტომ ავტომატები აამოქმედეს.

1945 წლის 1 მაისს ბატალიონი იბრძოდა ბრანდენბურგის კართან. აქ გააფთრებულ ბრძოლებში ვ. ოსეფაშვილმა თავისი მეავტომატეებით 400-მდე ფაშისტი წამოიყვანა ტყვედ.

2 მაისს, დილის 2 საათზე, ვლადიმერ ოსეფაშვილის მეავტომატეები შეიჭრნენ რაიხსბანკში. აქედან სულ ახლოს იყო ბრანდენბურგის კარი. ვ. ოსეფაშვილის ჯგუფს ებრძანა ბრანდენბურგის კარის აღება. და აი გააფთრებული ბრძოლის შედეგად გვარდიის უფროსმა სერჟანტმა პავლე ველიკომა გვარდიის უფროს სერჟანტ ვ. ოსეფაშვილთან ერთად ბრანდენბურგის კარზე აღმართა გამარჯვების წითელი დროშა.

ვ. ოსეფაშვილი დაჯილდოებულია სამი წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით ვარშავის განთავისუფლებისა და ბერლინის აღებისათვის. გარდა ამისა, ბრანდენბურგის კარის აღებისათვის ბატალიონის მეთაურისაგან მას მიღებული აქვს ძვირფასი საჩუქარი წარწერით.

ნ. ჭეიშვილი

ომგადახდილნი დაზგებთან

ფრონტზე წავიდნენ ქარხნის კვალიფიციური მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ელექტრიკოსები, მაგრამ განა შეჩერდნენ მათი დაზგები, განა შესწყდა ქარხნის მაჯისცემა! კვლავ გუგუნებდა ქარხნის საყვირი, კვლავ გრიალებდნენ დაზგები, ერთი მიზნით დარაზმული კოლექტივი კვლავ ხელგამრჯეობდა. ქარხანა, როგორც წინათ, ახლაც მოწინავეთა რიგებში იყო.

სამამულო ომის დღეებში ქარხნის კოლექტივი, დიდი სიძნელის მიუხედავად, ჩინებულად ასრულებდა საფრონტო დაკვეთებს.

ფრიად პასუხსაგებ მუშაობას ეწეოდა ქარხანა, როდესაც ფრონტის ხაზი ჩვენთან ახლოს იყო. თითქმის ყოველ დღე მოდიოდა აქ კავკასიის ფრონტზე დაზიანებული მანქანების წყება, რომლებიც სასწრაფო შეკეთებას მოითხოვდნენ. ქარხნის კოლექტივს ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით უმოკლეს ვადაში სრულ წესრიგზე მოჰყავდა მანქანები.

წარმატებით იბრძოდნენ ქარხნის ყოფილი მუშები ფრონტზეც.

1945 წლის 9 მაისს, როდესაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვებას ზეიმობდა, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მრავალი ყოფილი მუშა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ იყო. ბერლინში იყო, მაგალითად, ქარხნის ყოფილი ზეინკალი ამხ. ავერიანოვი, რომელსაც ორი ორდენი და ხუთი მედალი უბრწყინავდა მკერდზე. ხარატი ალექსანდრე ბურკოვი აღმოსავლეთ პრუსიაში ზეიმობდა მტერზე გამარჯვებას. მეთუნუქე ა. სიმონიანს შორეულ ბუდაპეშტში მოუსწრო 9 მაისმა. გამარჯვების დიადი დღესასწაული განთავისუფლებული ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში იზეიმეს ხარატმა თევდორე ციმბალმა, დურგალმა ვიქტორ გურგენიძემ, ზეინკლებმა ვლადიმერ ვაშაკიძემ, გიორგი სამხარაძემ, დემეტრაშვილმა, ციხელაშვილმა და მრავალმა სხვამ.

მაშინაც კი, როდესაც მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს ეწეოდნენ, ისინი ფიქრობდნენ მშობლიურ თბილისზე, თავიანთ ქარხანაზე, დაზგებზე, და აი, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილნი, კვლავ აქ არიან, თავიანთ ქარხანაში, თავიანთ დაზგებთან. ბევრმა მათგანმა მიმდინარე წლის ხუთ თვეში წლიწადნახევრის დავალება შეასრულა.

საპატიო დაფა, კედლის გაზეთი თუ საბრძოლო ფურცლები სახელოვანი ომგადახდილების შრომითს გმირობაზე მოგვითხრობენ. სანამ საიარაღო საამქროში შევაღწევდეთ, ეცნობით ხარატ ალექსანდრე ბურკოვის საქმიანობას. ხუთ თვეში 18 თვის გეგმა — ასეთია მისი მაჩვენებელი.

ალექსანდრე ბურკოვის სახარატო დაზგას შეუსვენებლივ ეხმიანება მეორე სახარატო დაზგა, რომელზეც დემობილიზებული ახალგაზრდა პავლე დანილოვი მუშაობს. ეს ჭაბუკი ბურკოვის შეგირდია. მან ივნისის ბოლოს უნდა ჩააბაროს გამოცდა ოსტატს. ბურკოვი თბილისელია, ხოლო დანილოვი ურალელი. ისინი სამშობლოს ინტერესებმა შეახვედრა ერთმანეთს ფრონტზე, ამავე ინტერესებმა ისინი სახარატო დაზგამდე მიიყვანა. ოსტატი და შეგირდი შეწყობილად მუშაობენ ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

პარტბიუროში თუ ქარხკომში ბევრ რამეს მოგვითხრობენ მეთუნუქე სიმონიანზე. ბავშვობიდანვე შეუსწავლია ამ კაცს თავისი მანქანა და შესანიშნავად ესმის მისი ენა, მისი ავი და კარგი. იგი ქარხნის დაარსებიდან მუშაობს აქ. მამაცობა ფრონტზეც გამოიჩინა. სად არ იბრძოდა — ყირიმში, სტალინგრადში, უკრაინაში თუ შორეულ ბუდაპეშტში! რამდენიმე ორდენი და მედალი დაიმსახურა. მარჯვენა ფეხი ბუდაპეშტისათვის ბრძოლებში დაჰკარგა და ამჟამად პროტეზით დადის, მაგრამ თავის საამქროში ისევე სახელოვნად მუშაობს, როგორც ომამდე — ხუთ თვეში ორი წლის გეგმა შეასრულა.

კარგი მაჩვენებელი აქვს ზეინკალ გიორგი სამხარაძეს. როგორც ათობით სხვა ფრონტელი, რომლებიც ამ ქარხანაში მუშაობენ, იგი თავის საამქროში რამდენიმე საბრძოლო ჯილდოთი დაბრუნდა. ბრძოლების უმკაცრეს მომენტში გიორგი პარტიაში მიიღეს. როგორც კომუნისტმა და ომგადახდილმა, მან დაბრუნებისას ახალი ენერგიით დაიწყო მუშაობა და ყოველდღიურ დავალებებს 300 პროცენტით ასრულებს.

დემობილიზებულნი გამოირჩევიან დისციპლინიანობითა და ინიციატივით, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში, ქარხნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მრავალი მათგანი ამჟამად ხელმძღვანელ სამუშაოზეა. გვარდიის მაიორი დემობილიზებული ამხ. ანთაძე დააწინაურეს დირექტორის თანაშემწედ კომერციულ ნაწილში. ქარხნის დირექტორმა ამხ. კიკნაძემ დიდი საბრძოლო გზა განვლო და პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდებით დაბრუნდა ფრონტიდან. ამჟამად იგი ქარხნის კოლექტივს უნარიანად რაზმავს ომისშემდგომი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

სამოცდაათამდე დემობილიზებული მუშაობს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში. თუ ქარხანამ ხუთი თვის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას ზედიზედ თერთმეტი თვის განმავლობაში ინარჩუნებს, ამ საქმეში მცირე როდია დემობილიზებულთა წვლილი. ისინი სახელოვნად დაბრუნდნენ ბრძოლის ველიდან და უდიდესი სიყვარულით განაგრძობენ მუშაობას ჩვენი სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის.

ელ. უბილავა

საერთაშორისო მიმოხილვა

1. ექვსი წელი

ექვსი წლის წინათ ჰიტლერული გერმანიის შეჯავშნული ურდოები შემოიჭრნენ საბჭოთა კავშირში. ეს ვერაგული ავაზაკური თავდასხმა მშვიდობისმოყვარე ქვეყანაზე ჰიტლერული აგრესიის კულმინაციური პუნქტი იყო. გერმანიის არმიის მძარცველური ლაშქრობანი, რომლებიც წინ უსწრებდნენ ამ თავდასხმას, ემსახურებოდნენ მხოლოდ იმ ძირითადი ამოცანის გადაწყვეტისათვის მზადების მიზნებს, რაც გერმანიის ფაშიზმმა დაისახა — საბჭოთა კავშირის განადგურებას. ჰიტლერი და გერმანიის გენერალური შტაბი ვარაუდობდნენ, რომ გერმანიის არმია თანამედროვე სამხედრო ტექნიკის პირობებში შესძლებდა იმის განხორციელებას, რაზეც მარცხი განიცადა ნაპოლეონმა — რუსეთის დაპყრობას და მსოფლიო ბატონობის მოპოვების გზაზე მთავარი დაბრკოლების აცილებას.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა ჰიტლერული აგრესიის გაჩაღებას, იყო ფაშისტთა „დამშვიდების“ პოლიტიკა, რასაც მთელი რიგი ომისწინა წლების მანძილზე ატარებდნენ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობები.

ავსტრია და ჩეხოსლოვაკია გერმანიამ ისე დაიპყრო, რომ მათ არცკი უცდიათ სამხედრო წინააღმდეგობა გაეწიათ. გერმანიის დამპყრობლური მოქმედება სანქციონირებული იყო მიუნხენელი „დამამშვიდებლების“ მიერ, რომლებიც ცდილობდნენ აღმოსავლეთისაკენ წარემართათ ფაშისტური აგრესია. დანია წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა. ნორვეგია იბრძოდა 24 დღეს, ბელგია—19 დღეს, ჰოლანდია—6 დღეს, ლუქსემბურგი — ერთ დღეს. საფრანგეთი, რომელიც მისმა მმართველებმა გასცეს, წინააღმდეგობას უწევდა 44 დღის განმავლობაში დასავლეთ ფრონტზე გერმანიის შეტევის დაწყების მომენტიდან. ბალკანეთის ლაშქრობაში ჰიტლერელებმა 18 დღეში დაიპყრეს იუგოსლავია და 27 დღეში — საბერძნეთი.

ამ ვრცელი ტერიტორიების დაპყრობამ დიდად გააძლიერა გერმანიის იმპერიალიზმი. ჰიტლერელებმა არა მარტო გაძარცვეს მათ მიერ ოკუპირებული ქვეყნები, არამედ აიძულეს კიდევაც ამ ქვეყნების საწარმოო აპარატი გერმანიის არმიის საჭიროებისათვის ემუშავა.

დასავლეთში იოლი გამარჯვებებით გაბრუებულნი, ჰიტლერელები ფიქრობდნენ 6-8 კვირის განმავლობაში გაენადგურებინათ წითელი არმიის მთავარი ძალები. „თუ პირველ სექტემბერს არა, 15 სექტემბერს ჩვენ მოსკოვში ვიქნებით“, ამბობდნენ გებელსი და მისი ხელქვეითები. მაგრამ გადიოდა დღეები და კვირეები, შემოდგომა ზამთარმა შესცვალა, გერმანელებმა კი ვერც მოსკოვი აიღეს და ვერც ლენინგრადი. ჯერ კიდევ 1941 წლის დასასრულს საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესმა სარდლობამ დაიწყო კონტრშეტევა და მოსკოვიდან უკუაგდო გერმანიის ჯარები. სტალინგრადთან გერმანიის საუკეთესო არმიების განადგურებამ ძირეულად შესცვალა ომის მიმდინარეობა. სტალინგრადის კატასტროფის შემდეგ გერმანიის არმიამ წელში გამართვა ველარ შესძლო და დამარცხებაზე დამარცხება განიცადა.

მაგრამ სტალინგრადის შემდეგაც მიუნხენის ხაზი არ გამქრალა.

ახლა უკვე საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი, თუ სად უნდა ვეძიოთ ამ „ურწმუნობის“ ფესვები. ანგლო-საქსურ ქვეყნებში გარკვეული წრეები იმ წლებშიც ატარებდნენ ომის გაჭიანურებისა და საბჭოთა კავშირის ძალების გამოფიტვის გეგმებს.

საბჭოთა კავშირმა გადაიტანა ომის მთავარი სიმძიმე. სამი წლის მანძილზე, ევროპაში მეორე ფრონტის შექმნამდე, საბჭოთა კავშირი პირისპირ იბრძოდა და წინააღმდეგობას უწევდა გერმანიის არმიასა და მისი ევროპელი მოკავშირეების ძირითად ძალებს. გერმანიის არმიის 314 დივიზიიდან 204 დივიზია, ესე იგი 65 პროცენტი, ჩაბმული იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. მეორე ფრონტის გახსნის შემდეგაც კი, 1944 წელს, ევროპაში ჰიტლერული ბლოკის შეიარაღებულ ძალთა ორმესამედზე მეტი მიმართული იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირმა საკუთარი მკერდით დაიცვა ევროპისა და მსოფლიოს ცივილიზაცია ფაშისტ ბარბაროსთა ავაზაკური ხელყოფისაგან.

საბჭოთა კავშირი რომ არა, მთელი ევროპა, აფრიკა და შუა აზია გერმანიის იმპერიალიზმის ნადავლი გახდებოდა, ღერძის სახელმწიფოთა ძალები შუა აღმოსავლეთსა და ინდოეთის ოკეანეში შეერთდებოდნენ, დასავლეთი ნახევარსფეროც ომის ასპარეზი გახდებოდა. ამ ფაქტის აღიარებას შეიცავს ოფიციალური ანგარიში ომის მიმდინარეობის შესახებ, რაც პრეზიდენტ ტრუმენს წარუდგინა გენერალმა მარშალმა — ამერიკის არმიის შტაბის მაშინდელმა უფროსმა. ეს ანგარიში პრესაში გამოქვეყნდა 1945 წლის ოქტომბერში. ანგარიში აგრეთვე ადასტურებს, რომ მოკავშირეები ყოველნაირად აჭიანურებდნენ დასავლეთში მეორე ფრონტის გახსნას. მეორე ფრონტის გახსნას ვარაუდობდნენ ჯერ 1942 წელს, შემდეგ 1943 წელს, — მაგრამ არც ეს ვადა იქნა დაცული, და შეჭრა კიდევ ერთი წლით გადადეს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი ზუსტად ასრულებდა ყველა თავის ვალდებულებას ომის წარმოების დარგში. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა იკისრა გერმანიის კაპიტულაციიდან სამი თვის შემდეგ ჩაბმულიყო ომში იაპონიის წინააღმდეგ. ეს ვალდებულება შესრულდა ზუსტად დათქმულ ვადაში. როგორც ოფიციალური დოკუმენტებით არის ცნობილი, ინგლის-ამერიკის სარდლობა ფიქრობდა, რომ ომი წყნარ ოკეანეში გაგრძელდებოდა დაახლოებით წელიწადნახევარს ევროპაში ომის დამთავრების შემდეგ. საბჭოთა კავშირის ჩაბმამ ომში შორეულ აღმოსავლეთში შესცვალა ომის ვითარება, მოუსპო იაპონიას ოპერაციების გაჭიანურების ყოველგვარი იმედი და აიძულა იგი უსიტყვო კაპიტულაცია გამოეცხადებინა.

საბჭოთა ქვეყანა, მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა, რაც მან გაერთიანებული ერების გამარჯვების სამსხვერპლოზე მიიტანა, ომიდან კიდევ უფრო მძლავრი და ძლიერი გამოვიდა. თავისი გაზრდილი ძალის შეგნებით საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან შრომას. მაგრამ საბჭოთა ადამიანები მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სტალინური ხუთწლედით დასახული საწარმოო ძალთა განვითარების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებასთან, არ გამოჰყოფენ მშვიდობისათვის ბრძოლისაგან. საბჭოთა ხალხს შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო რეაქციის ხრიკების მოგერიებისათვის, რეაქციისა, რომელიც ცდილობს მერყევი გახადოს საერთაშორისო ურთიერთობა ომის შემდეგ. საბჭოთა კავშირი ცდილობს, რომ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში მოპოვებული დიადი გამარჯვება დაგვირგვინდეს მტკიცე მშვიდობით, რომელიც შეესაბამება თავისუფლებისმოყვარე ხალხების იმედებსა და ძირითად ინტერესებს.

2. მშვიდობის ფრონტის განმტკიცება აღმოსავლეთ ევროპაში

ერთ-ერთი ძირითადი გაკვეთილი, რაც ხალხებმა მეორე მსოფლიო ომიდან გამოიტანეს, ის არის, რომ ფაშიზმის დაძლევისათვის და საერთაშორისო რეაქციის აგრესიული ძალების ალაგმვისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დემოკრატიული ძალების ერთიანობა და მათი თანამშრომლობა საერთაშორისო მასშტაბით.

დემოკრატიულ ერთიანობის [illegible] მაგალითს მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის წარმოადგენს საბჭოთა კავშირი. ამერიკის ბურჟუაზიული [illegible] კი იძულებული იყო ეღიარებინა ეს ომის წლებში. 1943 წელს იგი სწერდა: „საბჭოთა ჯარების გამარჯვებებმა უცილობლად დაამტკიცეს ორი ფაქტი. ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირის გამოცდილება მოწმობს, რომ ეკონომიკა შეიძლება წარმატებით განვითარდეს კერძო ინიციატივის უქონლად და ამავე დროს მაღალპროდუქტიული იყოს. მეორე, საბჭოთა კავშირის მაგალითით დამტკიცებულია, რომ სოციალიზმს შეუძლია გააერთიანოს ერი გამსაცდელის პერიოდში, მაშინ როცა კაპიტალისტური დემოკრატიის პირობებში უიმედო შუღლი სუფევს“.

დემოკრატია უძლეველია, თუ იგი ერთიანია. ეს პრინციპი მტკიცედ შეიგნო ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხმა, რომლებიც ცდილობენ თავისი ცხოვრება ააგონ ახალ საფუძვლებზე. დემოკრატიის ძალთა ზრდა შესამჩნევია ომის შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც კვლავ არსებობს დასავლეთის ტიპის ფორმალური დემოკრატია, ეკონომიკაზე გაბატონებული მონოპოლისტური კაპიტალი, არსებობს შესაძლებლობა გადამჭრელი გავლენა მოახდინონ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხასიათზე ანტიდემოკრატიული სულისკვეთებით. სხვანაირად არის საქმე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთა ხალხებმა ომის წლებში გამოსჭედეს ახალი ტიპის დემოკრატია. ეს დემოკრატია ხელს უწყობს ხალხის ძალების გაერთიანებას მშრომელთა საუკუნეობრივი მისწრაფების განსახორციელებლად.

მშვიდობიანი ცხოვრების ორი წლის მანძილზე ახალი დემოკრატიის ქვეყნებმა თავიანთი ეკონომიკის აღდგენის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ამას ხელს უწყობდა ძირითადი დემოკრატიული გარდაქმნები — დემოკრატიული აგრარული რეფორმის გატარება, მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია და სხვა ღონისძიებანი. პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, ბულგარეთი მიმდინარე წლის დამდეგს დაადგნენ თავიანთი ეკონომიური ცხოვრების გეგმიანი განვითარების გზას. ამ სლავური ქვეყნების ხალხებმა თავი დააღწიეს უცხოეთის კაპიტალის ბატონობას, რომელსაც, როგორც ცნობილია, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ხელთ ეპყრა ამ სახელმწიფოთა ეკონომიკის ყველა საკვანძო პოზიცია. ძირითად დემოკრატიულ გარდაქმნათა გზით მიდიან რუმინეთი და უნგრეთიც.

ამ ქვეყნების საშინაო წყობილების ცვლილებამ გამოიწვია მათი საგარეო პოლიტიკის ახალი გეზიც. ახალი დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს სულ უფრო მეტად ესმით თავიანთი ინტერესების ერთიანობა. ისინი ცდილობენ განავითარონ მჭიდრო თანამშრომლობა ურთიერთშორის და მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობას ამყარებენ ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყანასთან.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უცხოეთის იმპერიალისტებმა მოახერხეს სლავური სახელმწიფოებისა და აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების გათიშვა. რუმინეთი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია შეადგენდნენ ეგრეთწოდებულ მცირე ანტანტას — სამხედრო პოლიტიკურ ბლოკს, რომელიც მიმართული იყო უნგრეთის, ბულგარეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ. ახლა ამ სახელმწიფოებს შორის სხვა ხასიათის ურთიერთობა შეიქმნა. ეს ურთიერთობა დამყარებულია ურთიერთ ნდობასა და ნამდვილ მეგობრობაზე. ამ ურთიერთობის მიზანია მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის შექმნა, უშიშროების გარანტია, ეკონომიური აღდგენა, ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ახალი დემოკრატიის ქვეყნები ცდილობენ მეგობრულად გადასჭრან ურთიერთსასარგებლოდ ყველა მათ წინაშე მდგომი პრობლემა. ზოგიერთი ეს ქვეყნები შეკავშირებული არიან მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებებით.

აღმოსავლეთ ევროპაში მოვლენათა ასეთი განვითარება არ მოსწონთ ვაშინგტონისა და ლონდონის იმ წრეებს, რომლებსაც სურთ ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება იმპერიალისტურ ინტერესებს დაუმორჩილონ. ამ წრეებს მხარს უჭერენ რეაქციული ნაშთები ახალი დემოკრატიის ქვეყნებში თავიანთი ცდებით შეარყიონ ხალხის მიერ შექმნილი დემოკრატიული წყობილება.

უკანასკნელ დღეებში „დოლარის დიპლომატია“ მფარველობას უწევს უნგრეთის ანტიდემოკრატიულ შეთქმულთ, როგორც უნგრეთიდან გაქცეულთ, ისე იმათ, ვინც პასუხისგებაშია მიცემული შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. რეაქციული წრეები შეეცადნენ მფარველობა გაეწიათ აგრეთვე ბულგარეთის ოპოზიციური ჯგუფის ლიდერ ნიკოლა პეტკოვისათვის, რომელიც მხილებულია ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში და რომელსაც დეპუტატის რწმუნება აეყარა და მართლმსაჯულებას გადაეცა. ასეთი ჩარევა მცირე სუვერენული ქვეყნების საშინაო საქმეებში შეუთავსებელია გაერთიანებული ერების პრინციპებთან. ეს გადაჭრით დაჰგმეს როგორც დემოკრატიული ქვეყნების მთავრობის წრეებმა, ისე ფართო საზოგადოებრივმა აზრმაც.

ცილისწამების ნიაღვარი მიმართულია არა მარტო უნგრეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ, არამედ ახალი დემოკრატიის სხვა ქვეყნების წინააღმდეგაც. საზღვარგარეთის რეაქციულ პრესაში ავრცელებენ ჭორებს იმის შესახებ, რომ დუნაისა და ბალკანეთის ქვეყნები თითქოს ემზადებიან „აღმოსავლეთის ბლოკის“ შესაქმნელად. მაგალითად, საფრანგეთის გაზეთი „მონდი“ რუმინეთის მთავრობის დელეგაციის ბელგრადში ამასწინანდელი ყოფნის გამო ამტკიცებდა, რომ ამ ვიზიტის მიზანია იმავე ყბადაღებული „აღმოსავლეთის ბლოკის“ შექმნა. გაზეთმა არ მოისურვა ესარგებლნა საიმედო ცნობებით რუმინეთ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შესახებ, რაც ბუქარესტისა და ბელგრადის პრესაში გამოქვეყნდა. მან ამ ქვეყნებისადმი მტრული პროპაგანდის მონაჭორი ამჯობინა.

დემოკრატიის ქვეყნებზე ყალბი ცნობების გავრცელება ჩვეულებრივი ხერხია იმათთვის, ვინც ცდილობს წყალი აამღვრიოს და თავისუფლებისმოყვარე ხალხების მშვიდობიანი მისწრაფებებისადმი უნდობლობა დათესოს. საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოებრიობის პროგრესულმა წრეებმა კარგად იციან, თუ ვინ ავრცელებს საფრანგეთში ცილისმწამებლურ ჭორებს ახალი დემოკრატიის ქვეყნებზე. ესენი არიან გუშინდელი კოლაბორაციონისტები, რომლებიც ომის დროს ჰიტლერთან თანამშრომლობდნენ, ახლა კი დოლარის დიპლომატიის მხარდაჭერას ეძებენ ბრძოლაში საკუთარი ხალხისა და აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების პროგრესული დემოკრატიის წინააღმდეგ.

საბჭოთა ქვეყანაზე ჰიტლერული ბანდების თავდასხმის სახსოვარ დღეს თანამედროვე კაცობრიობის მთელი პროგრესული ძალები მადლიერებით იგონებენ საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიმამაცეს, რომლებმაც გასტეხეს ფაშისტური გერმანია და გზა გახსნეს დემოკრატიის ფართო განვითარებისათვის.

ქ. გოფმანი

ცირანკევიჩის გამოსვლა პოლონეთის სეიმის სესიაზე

ვარშავა, 20 ივნისი. (საქდესი). თავის მოხსენებაში სეიმის სესიაზე პრემიერ-მინისტრმა ცირანკევიჩმა დაახასიათა მთავრობის მოღვაწეობის ხუთი თვის პერიოდი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დემოკრატიული პარტიების ბლოკმა, რომელიც სეიმის არჩევნების პერიოდში ჩამოყალიბდა, სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

ცირანკევიჩმა აღნიშნა, რომ პოლონეთის საერთაშორისო და შინაპოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა.

საგარეო პოლიტიკის დარგში, სთქვა ცირანკევიჩმა, ჩვენ კვლავ მივდიოდით ჩვენი უშიშროების უზრუნველყოფისა და საზღვრების განმტკიცების, ხალხთა შორის მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების უზრუნველსაყოფად ფართო თანამშრომლობის გზით. ამ პრინციპებს პოლონეთი მტკიცედ იცავს საერთაშორისო ასპარეზზეც, მონაწილეობას იღებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში. ჩვენი საგარეო პოლიტიკის საძირკველია უსაზღვრო მეგობრობა და მზარდი თანამშრომლობა ჩვენს დიდ აღმოსავლეთელ მეზობელთან.

ცირანკევიჩმა მადლობით აღნიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის პოზიცია მოსკოვის კონფერენციაზე ამა წლის აპრილში პოლონეთის დასავლეთი საზღვრების საკითხში.

ამ კონფერენციამ, განაგრძო ცირანკევიჩმა, ერთხელ კიდევ სავსებით თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მხოლოდ დიპლომატიური ფორმულა კი არ არის, არამედ ცხოვლად ასახავს ურთიერთდახმარებასა და გულითად თანამშრომლობას, რაც ორივე ქვეყნის ხანგრძლივი საარსებო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

მომხსენებელმა კმაყოფილებით აღნიშნა აგრეთვე პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის გაუმჯობესება. პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, სთქვა მან, რომელიც ხელმოწერილ იქნა მიმდინარე წლის მარტში, განამტკიცებს ორივე ქვეყნის უშიშროებას. უახლოეს ხანში ხელმოწერილ იქნება აგრეთვე ფართო სავაჭრო ხელშეკრულება და პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის კულტურული კონვენცია. ეჭვი არ მეპარება, ამბობს პრემიერი, რომ სლავთა სოლიდარობის ასეთივე სულისკვეთებით გადაიჭრება სხვა ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები ორ სახელმწიფოს შორის, მათ შორის ეროვნული საკითხებიც.

პოლონეთ-იუგოსლავიის მეგობრულმა ურთიერთობამ, სთქვა შემდეგ ცირანკევიჩმა, თავისი გამოხატულება ჰპოვა ამ ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიური ხელშეკრულებით, რომელიც გასულ თვეს ხელმოწერილ იქნა ვარშავაში. ახლოვდება იუგოსლავიიდან პოლონელთა რეპატრიაციის საკითხის გადაჭრა, რის შედეგადაც იუგოსლავიის ხელისუფალთა მეგობრული დახმარების მეოხებით უკვე დაბრუნდა სამშობლოში 15 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე მთელი თავისი ქონებიანად.

მეგობრობის ატმოსფეროში ვითარდება ჩვენი ურთიერთობა ბულგარეთთან, რომელთანაც ახლო ხანში დაიდება ხელშეკრულება კულტურული თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ახალი სავაჭრო ხელშეკრულება. ხელსაყრელად ვითარდება ურთიერთობა რუმინეთთან.

უახლოეს ხანში პოლონეთის მთავრობა დესპანს დანიშნავს უნგრეთში, რაც საფუძველს ჩაუყრის ამ ქვეყანასთან თანამშრომლობის განმტკიცებას.

კარგად ვითარდება ჩვენი ურთიერთობა შვეციასთან, ნორვეგიასა და დანიასთან. შვეციასთან რატიფიცირებული ეკონომიური ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნების ხანგრძლივი ეკონომიური თანამშრომლობის კარგი ინსტრუმენტია. მნიშვნელოვნად გაცხოველდა ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ ეკონომიურ დარგშიც.

მინდა კმაყოფილებით და ხაზგასმით აღვნიშნო, სთქვა ცირანკევიჩმა, მნიშვნელოვანი პროგრესი, რაც ამ ბოლო დროს მიღწეულია პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის დარგში. მინისტრ ბევინის ვიზიტმა ვარშავაში და აქ გამართულმა მეგობრულმა მოლაპარაკებამ, შემდეგ კი ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებამ პოლონეთ-ინგლისის საფინანსო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე, აგრეთვე პოლონეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერამ შექმნა ნორმალური ეკონომიური თანამშრომლობის პირობები, რაც უეჭველად სასარგებლოა ორივე ქვეყნისათვის.

ამ პირველი ნაბიჯების შემდეგ, რომლებსაც ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი თანაგრძნობით შეხვდა, განაგრძო მომხსენებელმა, ჩვენ გვსურს, რომ მიღებულ იქნას ღონისძიებანი ძირითადი საკითხების, უწინარეს ყოვლისა გერმანიის პრობლემისა და ჩვენი დასავლეთი საზღვრების პრობლემის გადაჭრისათვის. გამოსარკვევია აგრეთვე საკითხი, რომელიც წამოიჭრა ინგლისის სარდლობაში მყოფი პოლონეთის ყოფილი შეიარაღებული ძალების დემობილიზაციასთან დაკავშირებით, პოლონეთის ქონების დაბრუნების საკითხი და სხვა. ცირანკევიჩმა აღნიშნა ამ პრობლემის აქტუალობა, რასაც მოწმობს ის, რომ მაისში დიდი ბრიტანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა 15 ათასი ჯარისკაცი. აგრეთვე გადაჭრას მოელის, სთქვა მომხსენებელმა, გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში გერმანელთა რეპატრიაციის საკითხი. პოლონეთი აგრეთვე ცდილობს მიაღწიოს პოლონელი ემიგრაციის დაბრუნებას ვესტფალიიდან, რის შესახებაც სწარმოებდა მოლაპარაკება ვარშავაში ბევინის ყოფნის დროს.

პოლონეთი, განაცხადა შემდეგ ცირანკევიჩმა, არ დაიშურებს ღონისძიებებს შეერთებულ შტატებთან მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განსამტკიცებლად.

ჩვენ მოველით, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, საფრანგეთთან ჩვენი ურთიერთობის მტკიცე მოწესრიგებას.

შემდეგ ცირანკევიჩმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი ღონისძიებანი, რომლებიც ტარდება გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებში, როგორიც, მაგალითად, ორი საოკუპაციო ზონის ეკონომიური გაერთიანება, აგრეთვე დენაციფიკაციისა და დემილიტარიზაციის არადამაკმაყოფილებელი მსვლელობა და გერმანული შოვინიზმის აღორძინების ნიშნები შეშფოთებას იწვევენ პოლონეთში. პოლონეთი, როგორც გერმანიის უშუალო მეზობელი, სთქვა მომხსენებელმა, კვლავაც განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს ამ დარგში მოვლენათა განვითარებას, მიისწრაფვის მიაღწიოს გერმანიის პრობლემის ისეთ გადაჭრას, რომელიც უზრუნველყოფს პოლონეთისა და მსოფლიოსათვის მტკიცე და სამართლიან მშვიდობასა და უშიშროებას.

ცირანკევიჩი გადავიდა პოლონეთის საშინაო მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ოპოზიციის იმედები, რომ რაიმე სხვა პოლიტიკური ჯგუფი გამოეხმაურებოდა მის ლოზუნგებს, არ გამართლდა. პოლონეთის დემოკრატია აღმოჩნდა ერთიანი მიზნით გაერთიანებული. თუ დემოკრატიის ბანაკში, სთქვა ცირანკევიჩმა, კიდევაც არის ერთგვარი უთანხმოება, ეს უთანხმოება შეეხება უმთავრესად ამა თუ იმ ღონისძიების პრაქტიკული განხორციელების საკითხებს. დემოკრატიის მიზნები ერთია. დემოკრატიული ბლოკის ბაზა მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი იყო და კვლავაც არის. შინაპოლიტიკური მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, განაგრძო მომხსენებელმა, მნიშვნელოვნად განმტკიცდა. სახელმწიფო აპარატმა ჩააბარა დემოკრატიისადმი ერთგულების გამოცდა და სავსებით გაამართლა თავი პრაქტიკულ საქმიანობაში. ახლა დგას მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხი.

ცირანკევიჩმა აღნიშნა ქვანახშირის, ენერგეტიკული, ცემენტის, ორთქლმავალ და ვაგონსამშენებლო მრეწველობისა და სხვა დარგების წარმატებითი მუშაობა პოლონეთის აღდგენის სამწლიანი გეგმის რეალიზაციის საქმეში და ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და კვლავაც დაუთმობს დასავლეთი მიწების აღდგენასა და ათვისებას. შემდეგ ცირანკევიჩმა აღნიშნა, რომ რეაქციასთან გადამწყვეტი ბრძოლის გზით დემოკრატიამ უზრუნველყო უშიშროება ქვეყნის შიგნით. ამნისტიის გამოცხადებამ, რომლითაც 59.576 პირმა ისარგებლა, დააჩქარა არალეგალური ორგანიზაციების დაშლა. რეაქციის ბუნაგების აღმოფხვრაში დიდი როლი შეასრულეს საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებმა.

დასასრულ ცირანკევიჩი შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მთავრობა სახალხო განათლებისა და კულტურის დარგში ახორციელებს.

ახალი შეტევის მზადება ბერძენ პარტიზანთა წინააღმდეგ

ათენი, 21 ივნისი. (საქდესი). ცალდარისის გაზეთმა „ვრადინიმ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოები ხმარობენ ღონისძიებებს, რომლებიც „შესაძლებელს გახდიან თუნდაც ათენსა და პირეიში სავსებით, საბოლოოდ და დაუნდობლად გაიწმინდოს ზურგი და მოსპობილ იქნას პარტიზანთა რეზერვები“.

ცალდარისმა, რომელსაც ჟურნალისტი შეეკითხა, თუ რამდენად გამოხატავს ეს სტატია მის აზრს, უპასუხა, რომ, „რამდენადაც მეამბოხეები ომს იწყებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ისინი ამასვე უნდა ელოდნენ სახელმწიფოსაგანაც“.

რეიტერი ირანის გაზეთის ცნობის შესახებ

ლონდონი, 20 ივნისი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო თეირანიდან მიღებულ დეპეშაში ბეჭდავს გაზეთ „ატეშის“ ცნობას, რომლის თანახმად ბარზანის ქურთთა ტომის ბელადი მოლა მუსტაფა ბარზანი თავისი მომხრეებიანად სსრ კავშირის საზღვარს გადავიდა მას შემდეგ, რაც ისინი დაამარცხეს ირანის მთავრობის ჯარებმა საბჭოთა საზღვრის ახლოს.

აცხადებენ, რომ მისმა მომხრეებმა დასტოვეს იარაღი და საომარი მასალა და რუსეთში წავიდნენ.

უშიშროების საბჭოს ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიის მუშაობა

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. (საქდესი). უშიშროების საბჭოს ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიის 18 ივნისს შემდგარ სხდომაზე 8 ხმის უმეტესობით მოწონებულ იქნა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რეგულირებისა და შემცირების სამუშაო გეგმა, რომელიც ამერიკის დელეგაციამ შეიტანა. საბჭოთა დელეგაციამ ხმა მისცა ამერიკის გეგმის წინააღმდეგ, პოლონეთისა და კოლუმბიის დელეგაციებმა თავი შეიკავეს.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა ა. ა. გრომიკომ შემდეგი განცხადება გააკეთა: „ამერიკის გეგმის მიღებასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო: იმ საკითხთა გაყოფა, რომლებიც შეეხება შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებს, ეწინააღმდეგება გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებას, მიღებული გეგმა კი ამ საკითხთა სწორედ ასეთ გაყოფას შეიცავს.

თავის გადაწყვეტილებაში გენერალური ასამბლეა არათუ არ უპირისპირებდა ერთმანეთს ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის ამოცანასა და შეიარაღების საყოველთაო შემცირების ამოცანას, არამედ ურთიერთ და მჭიდრო კავშირში განიხილავდა ორივე ამ ამოცანას.

ამ ორი საკითხის ხელოვნური გაყოფა, რაც ეწინააღმდეგება გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას, იმას ნიშნავს, რომ კომისიისა და უშიშროების საბჭოს მომავალ მუშაობას ამ დარგში შეექმნას დაბრკოლება, რასაც მოჰყვება ასამბლეის გადაწყვეტილების ჩაშლა შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით“.

ამერიკის სამუშაო გეგმა, რომელიც კომისიამ მოიწონა, ექვსი პარაგრაფისაგან შესდგება; აქედან სამი ზოგადად ეხება პრაქტიკულ წინადადებათა საჭიროებას, სხვები საჭიროდ სთვლიან ეფექტიან გარანტიებს საერთაშორისო კონტროლის გატარების გზით. მე-5 პარაგრაფი ითვალისწინებს ამ „პრინციპთა“ გავრცელებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არაწევრებზე და მე-6 — უკანასკნელი პარაგრაფი ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს განსახილველად კონვენციის პროექტის გადაცემას, „თუ ეს შესაძლებელია“.

სხდომის გახსნისას კომისიის თავმჯდომარემ ბრაზილიის დელეგატმა მენისმა წინადადება წამოაყენა — ჯერ კენჭი ეყაროს პოლონეთის შესწორებებს ამერიკის გეგმისადმი, შემდეგ საფრანგეთის შესწორებას და ამის შემდეგ ეყაროს კენჭი ამერიკის გეგმასო.

პირველი გამოვიდა ინგლისის დელეგატი კადოგანი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა რაც შეიძლება მალე ეყარათ კენჭი ამერიკის გეგმისათვის და წინააღმდეგი იყო საფრანგეთის შესწორებისა, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღების წარმოების რეგულირებისა და შემცირების საკითხის განხილვას. კადოგანი ამტკიცებდა, რომ ლოგიკური არ იქნება გამოყოს მარტო შეიარაღების წარმოების საკითხი გეგმაში, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში „ზოგადი“ იქნებოდა.

კადოგანის პასუხად საფრანგეთის წარმომადგენელმა პაროდიმ განაცხადა, რომ იგი ეთანხმება დელეგატებს, რომლებიც „ფრიად დაწვრილებითი“ გეგმის წინააღმდეგი არიან, მაგრამ სთქვა, ამერიკის გეგმა იმდენად ზოგადია, რომ სამუშაო გეგმის ხასიათი აღარ აქვსო. პაროდი ამტკიცებდა, არც საბჭოთა გეგმაა იდეალური, მაგრამ იგი შეიცავს „ერთი უდიდესი მნიშვნელობის იდეას“, რომელიც ყურადღების ღირსია — ეკონომიური განიარაღების იდეას.

სხვა ორატორებიც დაეთანხმნენ იმას, რომ ამერიკის დოკუმენტი ერთობ ფართოა და „გეგმა“ არ დაერქმევა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატს. მაგალითად, ჩინეთის დელეგატმა სიამ განაცხადა, მე გადავწყვიტე ამერიკის წინადადებას დავუჭირო მხარი, რადგან ყველაზე უფრო დასაჯერებელია, რომ იმას მიიღებენო. სირიის დელეგატმა ელ-ხურიმ აღიარა, რომ საბჭოთა გეგმა შეიცავს მნიშვნელოვან პუნქტებს, მაგრამ განაცხადა, ამერიკის წინადადებას მივცემ ხმას, რადგან საბჭოთა გეგმა „შესაძლოა არასრულიაო“.

სანამ კენჭს უყრიდნენ პოლონეთის შესწორებებს, ა. ა. გრომიკომ მიიღო თავმჯდომარის თანხმობა, რომ ჯერ კენჭი ეყარათ პოლონეთის მეოთხე შესწორებისათვის, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღების რეგულირებისა და შემცირების ღონისძიებათა კოორდინაციას ატომის ენერგიისადმი კონტროლის სისტემასთან და რომელშიც ნათქვამია, რომ წინადადებები მხედველობაში უნდა იღებდნენ ატომური შეიარაღების აკრძალვას.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად პოლონეთის მეოთხე შესწორება უარყოფილ იქნა. შესწორებას ხმა მისცეს მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა, კოლუმბიის დელეგატმა თავი შეიკავა.

ამის შემდეგ კომისიამ უარჰყო პოლონეთის ოთხი სხვა შესწორება, რომლებიც ითვალისწინებდნენ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე არსებული ბაზების შემცირებას, სამხედრო წარმოების კონტროლის, შეიარაღებისა და სამხედრო მასალების საერთაშორისო მიმოზიდვის პრინციპებს, სამხედრო მიზნებისათვის არასამხედრო ქარხნების გამოყენების აკრძალვას და სხვა.

ვიდრე კენჭს უყრიდნენ საფრანგეთის შესწორებას სამხედრო წარმოებისადმი კონტროლის შესახებ, ამერიკის დელეგატმა ბარლმა განაცხადა, უკან მიმაქვს ჩემ მიერ წინათ გამოთქმული საწინააღმდეგო აზრიო. მაგრამ კომისიამ სამი ხმით ორი ხმის წინააღმდეგ უარჰყო საფრანგეთის შესწორება. 6 დელეგატმა თავი შეიკავა.

ამის შემდეგ ა. ა. გრომიკომ წინადადება წამოაყენა მუხლობრივ ეყარათ კენჭი საბჭოთა წინადადებისათვის, რომელშიც ნათქვამია, რომ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მხრივ ქვეყნების მინიმალური მოთხოვნილების განსაზღვრისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ატომური შეიარაღებისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა აკრძალვა. კომისიამ უარჰყო 6 ხმით სამის წინააღმდეგ საბჭოთა გეგმის პირველი პარაგრაფი. კოლუმბიამ, სირიამ და ავსტრიამ თავი შეიკავეს. პირველი პარაგრაფის მიღებას ხმა მისცეს საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა. საბჭოთა გეგმის დანარჩენი 9 პარაგრაფის მიღებას ხმა მისცეს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დელეგატებმა. საბჭოთა გეგმის წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი მერყეობდა 5-დან 6-მდე. ამასთან დანარჩენმა დელეგატებმა ან თავი შეიკავეს, ან „უარი სთქვეს კენჭისყრაზე“ — ეს ახალი კატეგორიაა, დაწესებული ავსტრალიის დელეგატ ჰოჯსონის მოთხოვნით.

კენჭისყრის შემდეგ ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებას მოჰყვება შეიარაღების შემცირების რეგულირების შესახებ გენერალური ასამბლეის რეზოლუციის განხორციელების ღონისძიებათა ჩაშლა.

ამის შემდეგ კომისიის სხდომა დაიხურა 25 ივნისამდე.

ამერიკული პრესა მარშალის გეგმის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მარშალის გამოსვლა ჰარვარდის უნივერსიტეტში ევროპის ქვეყნებისადმი ამერიკის ეკონომიური დახმარების გეგმის საკითხზე კვლავ იპყრობს პრესისა და რადიოს ყურადღებას.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ კონკრეტულად აყალიბებს მარშალის გეგმას და აღნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა ყოველწლიურად უნდა მისცენ ევროპას 6-დან 8 მილიარდამდე დოლარი. მაგრამ გაზეთს მიაჩნია, რომ ევროპისადმი ამერიკის დახმარება მოითხოვს თვით ევროპის ქვეყნების აქტიურ მონაწილეობას ევროპის ეკონომიკის აღდგენაში.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი ლიპმანი ამას წინათ მორიგ სტატიაში შეეხო მარშალის გეგმას და შეჩერდა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის პრობლემაზე. როგორც ლიპმანი ამბობს, მარშალის სიტყვამ ცხადჰყო, რომ ევროპაში დოლარის ნაკლებობა მომავალი ზამთრისათვის იმდენად მწვავე იქნება, რომ გამოიწვევს ევროპაში ამერიკის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილის შეწყვეტას.

წარმომადგენელთა პალატის კომისიამ მოიწონა ახალი ანტიკომუნისტური კანონპროექტი

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ ვაშინგტონიდან გადმოცემული ცნობით, წარმომადგენელთა პალატის ვეტერანთა საქმეების კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც შეღავათებს უსპობს კომუნისტ ან კომუნიზმის თანამგრძნობ ვეტერანებს. ამჟამად არსებული კანონები შესაძლებლობას აძლევენ ვეტერანებს სწავლის ფულის გადაუხდელად იარონ სასწავლებლებში, მიიღონ სესხი ბინების მშენებლობისა და საწარმოო საქმიანობისათვის, აგრეთვე ანიჭებენ მათ სხვა შეღავათებს.

ნორვეგიის სტორტინგში

ოსლო, 18 ივნისი. (საქდესი). ნორვეგიის სტორტინგის სხდომაზე ესპანეთის საკითხის შესახებ ინტერპელაციის განხილვისას სტორტინგის დეპუტატმა კომუნისტური პარტიისაგან ლევლიენმა წინადადება შეიტანა, რომ სტორტინგი არ უნდა დაეთანხმოს ნორვეგიის მიერ ფრანკისტული ესპანეთის წარმომადგენლის მიღებას. სტორტინგის თავმჯდომარემ მონსენმა განაცხადა, რომ ასეთი წინადადება არ შეიძლება მიღებულ იქნას, ვინაიდან საკითხი მსჯელობას არ ექვემდებარებაო. სტორტინგმა დაადგინა ოქმში შეეტანათ ლევლიენის წინადადება. კამათის დროს თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა კომუნისტ დეპუტატ ფოჰტს იმისათვის, რომ მან ფრანკოს ჯალათი უწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი მახარაძე. კიროვის სახელობის ქუჩა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია

25 და 26 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შესდგება ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის კვლევითი მუშაობისადმი. სესიაზე მოხსენებას წაიკითხავენ:

25 ივნისს — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი რ. ჯიქია — „ახალციხის მერა ქვანახშირის საბადოს გვერდითი ქანების ბურცვის საერთო ხასიათი და გვირაბების გამაგრების კონსტრუქციათა ძირითადი პრინციპები“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ა. ძიძიგური — „ნავთობის საბადოთა შახტური მეთოდით დამუშავების გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ქ. ბარამიძე — „ჰიდრავლიკური საშახტო პარაშუტი“.

26 ივნისს—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. გედევანიშვილი — „დისპერსიული ფაზის მქონე გეტეროგენური სისტემის დაჯდომის მოვლენის მოდელირების ცდა“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ფ. თავაძე — „რკინა-ქრომ-მანგანუმ-ნახშირბადიან სისტემის შენადნობთა სტრუქტურული დიაგრამის რკინის კუთხე“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ა. ხვიჩია — „მოლიბდენიტების გამოწვა“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. კეკელიძე — „ჭიათურის შავი ქვის საბადოს მანგანუმის კარბონატული მადნის ზოგიერთი ქიმიური, ფიზიკური, ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებანი“.

სესიის სხდომები შესდგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

სხდომები დაიწყება დღის 12 საათზე.

ფეხბურთი

15 ივნისს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთში 1947 წლის პირველობის გათამაშების მე-8 კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალთა და კიევის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრის პირველ წუთებში მოსკოველებმა შესძლეს ორი ბურთის გატანა „დინამოს“ გუნდის კარში. სტუმრებმა ფიცხელი კონტრიერიშებით უპასუხეს. პირველი ტაიმის დასასრულს კიეველებმა არმიელ ფეხბურთელთა გუნდის კარში პირველი საპასუხო ბურთი გაიტანეს, ხოლო მატჩის მეორე ნახევრის 21-ე და 28-ე წუთზე—დამატებით ორი ბურთი. ამრიგად, მატჩი დამთავრდა კიევის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

17 ივნისს მოსკოვში „სტალინეცის“ სტადიონზე მოსკოვის „ცდკა“ მე-9 კალენდარულ მატჩში შეხვდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“. „ცდკა“-ს თავდამსხმელებმა, რომელთა რიგებშიც კვლავ თამაშობენ ცნობილი ფეხბურთელები გ. ფედოტოვი და ვ. ბობროვი, კუიბიშეველთა კარში შესძლეს შვიდი ბურთის გატანა, ხოლო თავიანთ კარში არც ერთი არ მიუღიათ. მატჩი მოიგო მოსკოვის „ცდკამ“ სარეკორდო ანგარიშით 7:0.

როგორც ცნობილია, მინსკის „დინამოს“ გუნდი მიმდინარე წელს ძლიერ სუსტად თამაშობს. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული შვიდი მატჩიდან მინსკელებს არც ერთი ქულა არ ჰქონდა მოგროვებული. მერვე კალენდარული მატჩი მათ ჩაატარეს 18 ივნისს მოსკოვში ადგილობრივ „კრილია სოვეტოვის“ გუნდის წინააღმდეგ. ამჯერად მინსკის „დინამომ“ გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ეს მინსკელების პირველი გამარჯვებაა.

დაძაბული ბრძოლით ხასიათდებოდა „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „დინამოს“ გუნდების შეხვედრა, რომელიც მოსკოვში შესდგა. ბურთი დინამოელთა კარში გაიტანა პირველი ტაიმის შუა წუთებში „ტორპედოელმა“ გ. ქარკოვმა. თამაშის მეორე ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. მატჩი მოიგო „ტორპედომ“ ანგარიშით 1:0.

20 ივნისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდები. ორივე გუნდის დიდმა ცდამ გადამწყვეტი უპირატესობის მოსაპოვებლად, უშედეგოდ ჩაიარა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

გუშინ სტალინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ სტალინგრადის „ტრაქტორისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები. შეხვედრა მოიგო „ტრაქტორმა“, ანგარიშით 2:1. ამრიგად, სტალინგრადის „ტრაქტორის“ გუნდის ფეხბურთელებმა 18 შესაძლებელიდან მოაგროვეს 11 ქულა.

ა. გოგოლაშვილი

რძის გადამამუშავებელი ქარხნები

ფასანაურში, ქინვალსა და მჭადიჯვარში, აგრეთვე თვით დუშეთში დაიწყო რძის გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები

საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმი წელს აწყობს გეოლოგიურ ექსპედიციას საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში, სადაც რამდენიმე წლის წინათ აღმოჩენილი იყო ადამიანის მსგავსი მაიმუნის ძვლები. ექსპედიციის მიზანია დაწვრილებით შეისწავლოს და დააგროვოს მასალები აღნიშნულ საკითხზე.

ექსპედიციას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივ. კაჭარავა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით და მუზეუმის თანამშრომლების მონაწილეობით ამ დღეებში არქეოლოგიური ექსპედიცია გაემგზავრება თრიალეთში (ხრამჰესის მშენებლობის მიდამოებში). ექსპედიციის მიზანია რამდენიმე წლის წინათ წარმოებული გათხრების განგრძობა, არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენა და შესწავლა.

მუზეუმის ბოტანიკის განყოფილება აწყობს ბოტანიკოსების ექსპედიციას დასავლეთ საქართველოს რაიონებში. ექსპედიციის მიზანია მასალების დაგროვება გამოფენისათვის — „საქართველოს ტყე“. გამოფენა მოეწყობა მიმდინარე წლის ბოლოს.

ახალი წიგნი

სახელგამმა გამოსცა გერონტი ქიქოძის წიგნი „XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია“. წიგნი შესდგება შემდეგი თავებისაგან: მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე, რომანტიკოსები, რეალისტური და დემოკრატიული ლიტერატურის დასაწყისი, სამოციანელები, ხალხოსნები, კომედიოგრაფია, თემის იდეოლოგები, საუკუნის დასასრული.

წიგნი, რომლის რედაქტორია ლ. კალანდაძე, შეიცავს 383 გვერდს და ღირს 22 მანეთი.

გასწორება

გაზეთ „კომუნისტის“ 21 ივნისის ნომრის ტირაჟის ერთ ნაწილში გაიპარა შეცდომა. მეოთხე გვერდზე მოთავსებულ ინფორმაციაში სათაურით — „სასამართლო“—პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმის მასალა სასურსათო ბარათების დამტაცებლებზე, რომლებიც მსჯავრდადებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

23 ივნისს, საღამოს 8 საათზე, შესდგება **ამხ. სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

სემინარი

23 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებისა და მოსახლეობაში მომუშავე აგიტატორებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ვ. ი. ლენინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა“.**

სემინარს უხელმძღვანელებენ ამხ. **კალაძე** და ამხ. **ნოღაიდელი**.

კინოებში

22 ივნისს: რუსთაველის სახელობის, **„ოქტომბერი“** და **„კომკავშირელი“** (საზაფხულო და ზამთრის) — „გერი“; **„ამირანი“** (საზაფხულო) — „ალმასების ხეობა“, (ზამთრის) — „არინკა“; **„სპარტაკი“** — „ნასრედინის თავგადასავალი“; **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — „გერი“, (ზამთრის) — „ბაღდადელი ქურდი“; **„კოლმეურნე“** — „ბალეტის სოლისტი“.

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

22 ივნისს

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15 — ზამიატინის საუბარი თემაზე: „დიდი სამამულო ომის მეექვსე წლისთავი“. 12.15—ტრანსლაცია მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან სპექტაკლისა „ზღაპარი სიმართლეზე“.

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.20—კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის თინათინ გოგოლაშვილის შესრულებით. 19.15 — საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი ჯემალ გოკიელი. 20.30 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ბახტაძის შესრულებით. 20.45 — საუბარი თემაზე: „საქართველოს ისტორიის ღირსეული წიგნი“ — მიკროფონთან პროფესორი ვარლამ დონდუა. 21.05 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი. 21.20 — ქართველ პოეტებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებები დაწერილი დიდი სამამულო ომის წლებში. 23.00 — საქართველოს რადიოკომიტეტის ჯაზ-ორკესტრის კონცერტი.

თბილისის ნავთობის ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1947-48 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს: 1. გეოლოგიის, 2. ნავთობის ჭაბურღილების ბურღვის და 3. ნავთობის ჭაბურღილების ექსპლოატაციის დარგში.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 14-დან 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა.

განცხადებების მიღება იწარმოებს 1 აგვისტომდე, გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე. ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან: სტიპენდიით I კურსზე 285-350 მანეთის რაოდენობით თვეში, საერთო საცხოვრებლით, დახურული სასადილოთი, მომარაგებით მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშების თანაბრად და შეღავათებით საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევასთან დაკავშირებით.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე მისამართით: თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა № 9, ნავთობის ტექნიკუმი.

ყოველგვარი ცნობების გაცემა იწარმოებს ტექნიკუმის კანცელარიაში დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდე, ტელეფონი № 3-12-82.

დირექცია

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 3 ივლისს, დღის 11 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შესდგება სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც დისერტაციას დაიცავენ:

ვ. დუნამალიანი—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„Гидрофильные свойства тонкодисперсной части почв, как фактор эффективности промывки засоления земель“.**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **დ. გედევანიშვილი**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. ჩხენკელი.**

ვ. ნაცვლიშვილი — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„საქართველოს ხორბლების ბიოქიმიის საკითხისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მ. შალამბერიძე**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **გ. აბესაძე.**

სადისერტაციო შრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ზოგადი ფიზიოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (მარის ქ. № 1) არაუგვიანეს 10 დღისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2) ავტობიოგრაფია, 3) ასლი დიპლომისა უმაღლესი განათლების შესახებ, 4) ასლი დოკუმენტებისა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ, 5) სამეცნიერო შრომების სია და თვით შრომები, 6) დახასიათება სამსახურის ადგილიდან.

დირექცია

სსსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტო-სატრანსპორტო სამგზავრო კანტორა აცხადებს მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ ა. წ. 1 ივნისიდან შემოღებულია ქალაქის ავტობუსებზე ახალი ნიმუშის აბონემენტები. ძველი ნიმუშის აბონემენტები მიიღება კონდუქტორების მიერ ან შეიცვლება დირექციაში (ბრძოლის ქ. № 37) 1-ლ ივლისამდე. აღნიშნული ვადის შემდეგ ძველი ნიმუშის აბონემენტები გაუქმებულად ჩაითვლება.

დირექცია

მოქალაქე **ბაგრატ სოლომონის-ძე სურმავამ**, მცხოვრებმა შაუმიანის ქ. № 78, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ელისაბედ ეგრაფის ასულ კაკანაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ვერა, შვილები ნორა, ელენე, შამხორ იუწყებიან **ისიდორე ილიას-ძე ქექნაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-VI, 4 ს. კარაკლისის, 7.

მშობლები ანტონ, აგრაფინა, ძმები შალვა, თამაზ, რობერტ, დები ლოლა, შურა, რძლები იუწყებიან **ვერა დანელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-VI, 8 ს. გამოსვენება 24-VI, 6 ს. ვახუშტის, 32.

მშობლები მარო, ანტონ, დები თამარ, ვენერა, დეიდები ელენე, სონია [illegible] იუწყებიან **ეთერ ანტონის ასულ გოლიაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VI, შემოქმედში (მახარაძის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უე 02905